წლიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 3 ივლისი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 24

## ჟურნალის შინაარსი

ორი საქართველო—**ყარიბი**; რა ქნას საქართველომ—**ლეო შენგელაია**; ახალი იერიშები—**კ. ჯავრიშვილი**; ქართული ემიგრაციის ახალი ავანტიურის გამო— **ა. ვადაჭკორია**; სახ. უნივერსიტეტის მიმართვა მსოფლიო მეცნიერთადმი; ქართული ემიგრაციის „საქმიანობა“—**ი. გაბუნია**; კოოპერაციის კვირეულისათვის—**შ. დუგლაძე**; წერილი თომა შრომელაძეს—**გ. სოფლისშვილი**; ყოფ. მენშევიკ. ქალთა თათბირი—**თათბირის მონაწილე**; ზაჰესის გახსნა—**დამსწრე**; ვისთან არის რევოლიუც. ახალგაზრდობა—**ა. ჩაჩუა.**

# ორი საქართველო

პარნასზე ღმერთები შედავდენ: დედამიწის ცენტრი სად არისო?

ზევსმა ეს საკითხი ასე გადასჭრა: გაუშვა ორი არწივი—ერთი აღმოსავლეთისაკენ, მეორე დასავლეთისაკენ და ბრძანა: სადაც ეს არწივები ერთმანეთს შეხვდებიან, დედამიწის ცენტრიც იქ იქნებაო.

არწივებმა იფრინეს, იფრინეს და დიდიხნის შემდეგ ერთმანეთს შეხვდენ იქ, სადაც შემდეგ დელფის დიდებული ტაძარი იქნა აგებული. ამ ადგილს ძველმა ბერძნებმა ქვეყნის ჭიპი უწოდეს და ტაძარის მთავარ კარებთან ორი ოქროს არწივი დასვეს დედამიწის ცენტრის აღსანიშნავად.

ეს ძველის ძველი ბერძნული ლეგენდაა, რომელიც საკმაოდ ამჟღავნებს თვით „უკვდავი“ ღმერთების თავმდაბლობას. მართლაც არც ისე ამაყი და გულზვიადები ყოფილან პარნასელები, როგორც ეს ჩვენ წარმოგვედგინა. ისინი სულაც არ გვანებიან ადამიანებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სადაც თვითონ ბრძანდებიან, დედამიწის ცენტრიც იქ არის. პარნასელები სულაც არ გვანებიან ადამიანებს, რომლებსაც თუ არა თავისი საკუთარი გაბერილი და გაბღენძილი პიროვნება, ისე ქვეყნის არსებობაც ვერ წარმოუდგენიათ.

ეს გაბერილობა და გაბღენძილობა, ეს ქვეყნის ცენტრად თავის საკუთარი თავის წარმოდგენა თითქმის ყველა ადამიანების სნეულებაა. მაგრამ ეს სნეულება ყველაზე უფრო ნოე ჟორდანიასა და მის ამხანაგებს დასჩემდათ. მათთვის დედამიწის ცენტრი ლევილია, ესე-იგი ის ადგილი, სადაც ისინი განისვენებენ. მათ მათი გაბერილი პიროვნების უმისოდ ქვეყანა ვერ წარმოუდგენიათ... და რა გასაკვირველია, რომ მათ არ სცნონ ისეთი პატარა ქვეყნის არსებობა, როგორიც საქართველოა, თუ ამ საქართველოს ბატონ-პატრონი თვითონ ეს გაბერილი და გაბღენძილი ადამიანები არ იქნებიან.

ქართველი ემიგრაციის პრესისა და ნოე ჟორდანიას მთელი პოლიტიკის შესწავლა მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ არსებობს ორი საქართველო, ორი ჯურის ქართველი ხალხი: ერთი ნამდვილი ქართველები, რჩეულები, აი ისინი, პარიზს მახლობლად ლევილში რომ ცხოვრობენ; მეორე—ისეთები, რუსები რომ სვოლოჩს ეძახიან, რომლებიც ისე გარყვნილან და გათახსირებულან, რომ საბჭოთა სისტემა უცვნიათ, კომუნისტურ ხელისუფლებას შეგუებიენ, მასთან თანამშრომლობენ. ესენი ქვეყნის მოღალატეები, საქართველოს გამყიდველები არიან, რომლებთან მიკარება რყვნის და ჩირქსა სცხებს ყველა „რჩეულებს“.

მართალია, აქ, საბჭოთა სისტემით მოწამლულ საქართველოში არიან ისეთები, რომლებიც „რჩეულებს“ თავის თანამგრძნობათ მიაჩნიათ, მაგრამ ისინიც, ასე ვთქვათ, მეორე ხარისხის ქართველობაა. ის მხოლოდ იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც იგი ჟორდანია-რამიშვილს დაუჯერებს, იმპერიალისტების აგენტების როლს იკისრებს, თავის საკუთარ ხელისუფლებას უღალატებს..

ამ მეორე სორტის ქართველებისთვის „რჩეულებს“ ავანტიურისა და პროვოკაციის მეტი არაფერი ემეტებათ. ისინი ამ ხალხის საკუთარი შრომის ნაყოფს, მათ მიღწევებსაც უარყოფით მოვლენათ აცხადებენ... ზაჰესი, რიონჰესი, ქარხნები, ფაბრიკები და სხვა ასეთი მიღწევები „რჩეულებს“ ხალხისთვის მავნებელ მოვლენათ მიაჩნიათ, რადგანაც ყოველი ეს კეთდება საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით და ცხადია: ყოველი ის, რაც ამ ხელისუფლების მიერ კეთდება—ეშმაკეულია და, როგორც ასეთი, ხალხის სულიერად და ხორციელად წამწყმედი. ყოველივე ეს ქართველი ხალხისთვის მავნებელია, რადგანაც ეს მიღწევები მას აახლოვებს საბჭოთა ხელისუფლებასთან.. ნოე ჟორდანიას კი სურს „ქართველ ხალხში ანტიმოსკოვური განწყობილება“ შეინახოს.

ერთი სიტყვით: აჯანყება, თავის საკუთარი ხელისუფლებისადმი სიძულვილი, აჯანყება, ავანტიურა და კიდევ ავანტიურა!

ამის მეტი ლევილის წმინდანებს არაფერი არ ემეტებათ ქართველი ხალხისთვის. ამ მხრით „ლევილელი საქართველო“ ისე შორს მიდის, რომ ის „ცოდვათა შინა შთავარდნილ“ საბჭოთა საქართველოსთვის ევროპაში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობაც კი არ ემეტებათ.

ისინი სამშობლოში დაბრუნებას უკრძალავენ იმ ახალგაზრდობას, რომელიც ევროპაში სასაწავლებლად გაგზავნა ქართველმა ხალხმა.

ნოე ჟორდანიას „ბრძოლაში" თავმოყრილი ფინიები პარიზის ქუჩებს აყრუებენ წკმუტუნით: ქართველ ახალგაზრდებს კალთებში აფრინდებიან: არ გაბედოთ და საბჭოთა საქართველოში დაბრუნება გულში არ გაივლოთ. თქვენ იქ დაიღუპებით. აქ რჩეულთა საქართველოში დარჩით და აქედან უწყვეთ საბჭოთა საქართველოს ავანტიურა და მოღალატეობაო.

რაშია საქმე? ვინ არის ეს ახალგაზრდობა, რომელსაც თავის საკუთარ ქვეყანაში, თავის მშობელ ხალხთან არ უშვებენ?

1918 წელს დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცხადებამ და სახელმწიფო აპარატის გაეროვნებამ პირველ დღიდანვე ჩამოგვაშორა გამოცდილი მოხელეები. ჩვენ სულ მალე ვიგრძენით ქვეყნის მართვა-გამგეობის მთელი სიმძიმე. ჩვენ არ ამოგვაჩნდა არა თუ „სპეცების" საკმაო კადრი, ჩვენ არ აღმოგვაჩნდენ ქართულ საწერ მანქანაზე გადამწერი ქალებიც კი. იძულებული შევიქენით ყოველიფერი თავიდან დაგვეწყო ყოველიფრის ანიბანი გვესწავლა.

ასეთ გარემოებაში თავისთავად წამოიჭრა იდეია ქართველი ახალგაზრდობის საზღვარგარეთ გაგზავნისა იქ სხვადასხვა სპეციალური, ჩვენი ახალი რესპუბლიკისთვის აუცილებლად საჭირო დასტების შესწავლის მიზნით. ეს იდეია პირველად მიწადმოქმედების სამინისტროს კედლებში დაიბადა, რადგანაც ამ სამინისტროს ხელში მოგროვილი იყო ქვეყნის მთელი სიმდიდრე და სადაც ყველაზე უფრო გრძნობდენ საქმის მცოდნე თანამშრომლების აუცილებლობას. პირველად ფიქრობდენ 100—200 მოინტელიგენტო მუშების საზღვარგარეთ გაგზავნას, რომლებსაც ერთი ან ორი წლის განმავლობაში უნდა შეესწავლათ სხვადასხვა ხელობა და საჩქაროდ დაბრუნებოდენ თავის ქვეყანას. ეს იდეია მთავრობამ შემდეგ სტუდენტებისა და საშუალო სასწავლებლებში კურსდამთავრებულების გაგზავნით შესცვალა. და 1919 წელს ჩვენ მართლაც გავგზავნეთ ევროპის უდიდეს ცენტრებში 75 ქართველი ახალგაზრდა სახელმწიფო ხარჯით.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოება მოხდა. როგორ უნდა მოქცეულიყო ახალი ხელისუფლება დასახელებულ სტიპენდიანტებისადმი? რა თქმა უნდა, მას თავის თავზე უნდა მიეღო ყოფილი მთავრობის მოვალეობა და სტიპენდიები უნდა ეძლია ევროპაში სასწავლებლად გაგზავნილი ქართველი ახალგაზრდობისთვის.

როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში თვითონ ეს მოსწავლე ახალგაზრდობა?

მას უნდა განეგრძო სტიპენდიის მიღება ახალი ხელისუფლებისაგან. მისთვის აქ არაფერი არ შეცვლილა. მისთვის სულ ერთი იყო: ჟორდანიას მთავრობა მისცემდა მას სტიპენდიას, თუ მახარაძის მთავრობა. მან ერთი რამ ჩინებულად იცოდა: მან იცოდა, რომ არც ერთი მთავრობა არ იძლევა თავის საკუთარ ფულებს; მან იცოდა, რომ სტიპენდიებზე, როგორც სახელმწიფოს სხვა საქმეებზე მიდიოდა და მიდის თვით ხალხის, ესე-იგი მისი მშობლების ფული... და რაც კიდევ უფრო საყურადღებოა: ევროპაში წასულმა ახალგაზრდობამ იცოდა, რომ ის ხალხის ფულებს იღებდა არა საქეიფოთ და საოხროთ, არამედ იმიტომ, რომ სწავლითა და ცოდნით აღჭურვილიყო, დაბრუნებოდა თავის ქვეყანას და ერთი ათად გადაეხადა თავის დიდი ვალი...

დადგა ამ ხალხის ვალის განაღდების დღე. ამ ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა უკვე დაამთავრა სწავლა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში და გამოეშურა სამშობლოსაკენ ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავისი უდიდესი ვალის მოსახდელად. ახალგაზრდების ეს ნაწილი უკვე დაბრუნდა საქართველოში. მათ თვალცხადლივ დაგვანახვეს, რომ ტყუილად არ დაუკარგავთ დრო, ტყუილად არ დაუხარჯავთ ხალხის ნაოფლარი ფულები, არ გაუცრუებიათ მისი დიდი იმედები. ჩვენ უკვე გვყავნან დღეს ევროპიდან დაბრუნებული ინჟენრები, ეკონომისტები, აგრონომები, რომლებიც ძარღვებ დაჭიმული მუშაობენ სახელმწიფო აღმშენებლობაში.

ამ ახალგაზრდების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ საზღვარგარეთ სწავლობს. მაგრამ ისინი „ბრძოლას" ფინიების კვალიფიკაციით საქართველოს მტრები ყოფილან. რატომ? რა ჩაიდინეს ასეთი ამ ახალგაზრდებმა? თურმე ნუ იტყვით,—ვაი საშინელებავ!—ყველა ისინი, „რამდენიმე პირის გამოკლებით" („ბრძოლის" სიტყვებია.) საბჭოთა პლატფორმაზე დამდგარან და საბჭოთა ხელისუფლებისაგან სტიპენდიებს იღებენ!

და აბა ამაზე დიდი დანაშაული იქნება? და ამიტომაც ამოუღია ნიშანში ეს ახალგაზრდობა ჟორდანია-რამიშვილის რაინდებს.

აი როგორ წუწუნებს ამის შესახებ უკბილო „ბრძოლა".

„სამწუხაროა, რომ ეს „რჩეულნი" (საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა) მტერთა ბანაკში მოექცენ, რომ ეს ახალი თაობა, რომლის სამოღვაწეო ასპარეზი მომავალია, ასე ადვილად, ასე სულმოკლედ, ფულებზე ახურდავებს საქვეყნო ინტერესებს". (იხ. „ბრძოლა", № 21. „ევროპის ქართველი სტუდენტობა და კომუნისტების ხელისუფლება").

მერე სად არის აქ „საქვეყნო ინტერესების" ღალატი? ქართველმა მშრომელმა ხალხმა თავისი საკუთარი შვილები თავისი საკუთარი ფულით გაგზავნა ევროპაში: ისწავლე, ცოდნა შეიძინე და შენს საკუთარ ქვეყანას ეპატრონეო.

ახალგაზრდობაც პირნათლად ასრულებს თავის მშობელი ქვეყნისა და ხალხის ბრძანებას: ის სწავლობს და თავის ქვეყანას უბრუნდება.

მერე ეს არის ქვეყნის ღალატი? ეს არის „საქვეყნო ინტერესების ფულზე დახურდავება"?

არა და ათასჯერ არა! საქვეყნო ინტერესებს ფულზე ახურდავებენ ისინი, ვინც ევროპის იმპერიალისტური მთავრობების ხარჯზე განცხრომით ცხოვრობენ პარიზში და ევროპის სხვა ქალაქებში და იქიდან ემისრებს უგზავნიან ქართველ ხალხს მისთვის საშინელი ავანტიურის მოსაწყობად, მის გასაბრიყვებლად, მისი ოჯახის დასაცავად.

ევროპაში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა ასეთ მოღალატეობას არ ჩადის. ის ცოდნით შეიარაღებული უბრუნდება თავის ქვეყანას და „ბრძოლა" ამისთვის მას აბეზღებს ქართველ ხალხთან: შენს მოსისხლე მტრებს მიიმხრევო.

„ამას ქართველი ხალხი ვერ დაივიწყებს და ვერც გაამართლებს, რადგან ლხინში მასთან მყოფი ეს ახალგაზრდობა. განსაცდელის ჟამს გაეთიშა მას და მტერს მიეკედლაო".

თუ ეს მოღალატეობაა იგი უფრო ადრე ჩაიდინა ქართველმა მშრომელმა ხალხმა, რომელმაც უკვე დიდი ხანია რაც „მტრებს მიემხრო".

ქართველი ხალხი მართლაც რომ არ დაივიწყებს იმ ახალგაზრდობას, რომელიც ასეთ საჭირო დროს ცოდნით შეიარაღებული დაუბრუნდა მას. ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ ახალგაზრდობას, რომლებიც დღეს მთელი თავის ენერგიით შებმიან სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში. ქართველმა ხალხმა უკვე გაამართლა ეს ახალგაზრდობა, რადგანაც ის მიემხრო არა „ქვეყნის მტერს", როგორც ეს „ბრძოლას" გონია, არამედ ამ ქვეყნის ხელისუფლებას, ამ ქვეყნის მცველსა და ამშენებელს.

ასე განსაჯა ქართველმა ხალხმა, ასე მიიღო მან თავისი ევროპიდან დაბრუნებული შვილები.

ნუ თუ ქართველი ხალხისა და საქართველოს ბოროტ სულებს. კიდევ შესწევთ გამბედაობა ამ მათ მიერ განწირული ხალხის სახელით ილაპარაკონ? ვინ მისცა ნება ამ უმანდატო, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ დაწყევლილისა და შეჩვენებულ „მთავრობას" ანათემა გამოუცხადოს ქართველი ხალხის საუკეთესო ახალგაზრდობას, რომელიც უბრუნდება თავის კერას, მონაწილეობას იღებს მშობელი ქვეყნის აშენებისა და კულტურულად ამაღლების საქმეში.

ნუ თუ ჟორდანია-რამიშვილს ჰგონიათ, რომ ისინი თავის საკუთარ ფულებს აძლევდენ სტიპენდიების სახით იმ ახალგაზრდობას და არა თვით ხალხის ფულებს? ხალხს სრული უფლება აქვს მოსთხოვოს თავის სტიპენდიანტებს: მოდი, მომეშველე, შემენაცვლე, შენს ქვეყანას მტლედ დაედეო. და ეს უკანასკნელებიც ვალდებული არიან ერთი წუთი თავისი სიცოცხლისა არ დაუკარგონ ხალხს.

რა ნება აქვს ქართველ ახალგაზრდობას ხალხის ხარჯით განათლება მიიღოს და საზღვარგარეთ, სადღაც ჯანდაბაში, იხეტიალოს იმ დროს, როცა მის სამშობლოში ჯერ არ ნახული და უმაგალითო სახელმწიფო აღმშენებლობა სწარმოებს, სადაც მცოდნე და გამოცდილ მუშაკებს არასოდეს არ ქონიათ ისეთი დიდი ასპარეზი, როგორიც დღესა აქვთ. ეს ახალგაზრდობა—ხალხის საკუთრებაა, ეს კაპიტალია.

ყოველი დღე მათ მიერ სამშობლოს გარეთ გატარებული,—მშობელი ხალხის გაქურდვაა, მისი დოვლათის გაფლანგვაა.

აი რას არ აპატიებს მათ ქართველი ხალხი და არა იმას, რომ ისინი არ რჩებიან იმათ რიცხვში, რომლებიც ვითომდა საქართველოს სიყვარულით გაურბიან საქართველოსაც და ქართველ ხალხსაც და შორიდან ცდილობენ ხელი შეუშალონ მის სახელმწიფო აღმშენებლობას, ააფეთქონ იგი და სისხლის მორევში შეაცურონ.

რატომ უნდა მოიცადოს ამ ახალგაზრდობამ ევროპაში? რატომ უნდა მოუცადოს ჟორდანიას და მის „მთავრობას“? რათ ესაჭიროებათ მათ ეს ახალგაზრდობა?

ეტყობა ისინი დიდ ფულს იღებენ იმპერიალისტებისგან, რომ ამ ახალგაზრდობის რჩენაც არ ეძნელებათ. ან იქნება პაჟებათ სჭირდებათ მათ ჩვენი შვილები. რატომაც არა: თუ რუსეთის მეფესა და დედოფლებს კი ყავდათ პაჟები, ჩვენი ყოფილი მინისტრები და მათი თანამეცხედრეები რა მათზე ნაკლები არიან, რომ ასეთი პაჟები არ ყავდეთ?

მაგრამ ქართველი ხალხი ამისთვის კი არ ზრდის თავის შვილებს. ეს შვილები მას აქ, საქართველოში, ესაჭიროება. ეს ვერ შეუგნიათ ჟორდანიასა და მის ფინიებს და უძლური ღრენითა და ცილისწამებით აცილებენ სამშობლოსაკენ ამ „მოღალატე“ ახალგაზრდობას.

„დღეს ეს ვაჟბატონები (ქართველი ახალგაზრდობა), ზოგი საქართველოში ჩაბრძანებულნი, ზოგი აქ დიპლომების მისაღებად დარჩენილნი ქართველ ერს „სამსახურსაც“ კი პირდებიან, „დახმარებას“ ღლუთქვამენო“.

ამაო წუწუნია. ევროპაში სწავლის მისაღებად წასული ქართველი ახალგაზრდობა უნდა დაუბრუნდეს და კიდევაც უბრუნდება თავის სამშობლოს. ის ვერ ამოუდგება გვერდში ქართველი ერის მოღალატეებს. ის ვერ ჩაიდენს საშვილიშვილოდ წარუხოცელ დანაშაულს მშობელი ერის წინაშე...

და მართლაც ქართველი ერის სასიხარულოდ და საბედნიეროდ და „ბრძოლის“ ფინიების სამწუხაროდ და სავალალოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ახალგაზრდები, რომლებიც უკვე დაუბრუნდენ მშობელ ქვეყანას, პირნათლად უსრულებენ ქართველ ხალხს თავის „აღთქმებსა“ და „დაპირებებს“. ისინი მთელი თავისი ახალგაზრდა ენერგიით ემსახურებიან ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს.

ჩვენ ერთის წუთითაც არ გვეპარება ეჭვი, რომ ევროპაში დიპლომების მისაღებად დარჩენილი ახალგაზრდობაც, ცოდნით აღჭურვილი მალე დაუბრუნდება ქვეყანას, თავის საბჭოთა საქართველოს.

ეს ასე იქნება. მაგრამ რა უფლებით უშლიან ამ ახალგაზრდობას სამშობლოში დაბრუნებას ჟორდანია-რამიშვილები? როდის დაავალა მათ ქართველმა ხალხმა: ჩემი შვილები მაქ პაჟებად დაიტოვეთო? ვისი სახელით ეუბნებიან ეს ქართველი ხალხის ბოროტი სულები ჩვენს ახალგაზრდობას:

„ქართველ ხალხთან შენ საერთო არაფერი გაქვს, შენ მის მტრებს ეხმარები და ემსახურებიო“.

აი როგორ აცილებს ქართველ ახალგაზრდობას ქართველი ხალხის ბოროტი სულები, რომელმაც თავს დაგვატეხეს აგვისტოს ავანტიურა, რომლებიც დღესაც არ გვასვენებენ: ემისრებს ემისრებზე გვიგზავნიან ქართველი ხალხის აჯანყებისა და დაღუპვის მიზნით.

იცოდენ ქვეყნის მოღალატეებმა, რომ ქართველმა ხალხმა მამობრივის სიყვარულით მიიკრა გულზე ევროპიდან დაბრუნებული შ[/]ილები. ის სიხარულით ხედავს თუ როგორ შებმია ეს ახალგაზრდობა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

მაგრამ ვარწმუნებთ ჟორდანია-რამიშვილებსა და მათ საბრალო ფინიებს, რომ იმათთვის საქართველოში ადგილი არ არის. მათ არ მიიღებს ქართველი ხალხი... და თუ ოდესმე გახდება სასწაული და რომის პაპისა და კენტენბერის არხიეპისკოპოსის ლოცვა კურთხევით, ისინი მაინც მობრძანდებიან, ქართველი ხალხი მათ გაასამართლებს, როგორც ქვეყნის გამცემლებს, როგორც უდიდეს მოღალატეებს, როგორც აგვისტოს ავანტიურის მომწყობებს, როგორც ახალი ავანტიურის ავტორებს.

დღეს საქართველო ორად არის გაყოფილი. ერთია ოდენკურის „რჩეულთა“ საქართველო, მეორე—აქ, საბჭოთა საქართველო.

ამ ორ საქართველოს შორის ხიდი საუკუნოთ ჩატეხილია. მათი შერიგება შეუძლებელია. ეს ორი სამკვდრო სასიცოცხლოთ განწყობილი ბანაკია.

ვნახოთ: ვინ გაიმარჯვებს.

**ყარიბი.**

# რა ჰქნას საქართველომ *)

## 4.

## რას გვირჩევენ?

ყველა იმათთვის, ვინც საბჭოთა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოილობისა და თანამშრომლობის გზას დაადგა. ემიგრაციას აქვს ასეთი კვალიფიკაცია: „ეს მოღალატეა“, „ეს სი[/]დისით მოვაჭრეა“, ეს „პროვოკატორი და ჩეკის აგენტია“ და სხვ.

თანამშრომლობისა და ლოიალობის საკითხისადმი ასეთი მიდგომა გარდა იმისა, რომ ის ყოვლად უმგვანო პოლიტიკური ფანდია და შეიცავს დაბალ ხარისხის დემაგოგიას. სავსებით ამჟღავნებს ემიგრაციის მეთაურთა **სულისკვეთებასა და პოლიტიკურ ხაზს.**

მართლაც და თუ ლოიალობა და თანამშრომლობა ღალატი და სინდისით ვაჭრობაა, ცხადია ემიგრაცია მოუწოდებს ქართველ ერს **არ ითანამშრომლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან, არ დაადგეს მასთან ლოიალობის გზას.** სწორედ ეს გახლავთ ემიგრაციის მხრით უდიდესი პროვოკაცია და ისტორიული დანაშაული, ვინაიდან ჩვენს პირობებში ქართველი ერისათვის საბჭოთა ხელისუფლებასთან **არ თანამშრომლობა, არა ლოიალობა** ნიშნავს მის ეროვნულ, კულტურულ და ფიზიკურ განადგურება - **გადაგვარებას.** ემიგრაციის უპასუხისმგებლო მეთაურთ, ეტყობათ, „ფეხებზე ჰკიდიათ“ ქვეყნის ბედი, თუ კი ამ ქვეყანაში ტოლუმბაშები თვითონ არ იქნებიან!

კართაგენი უნდა დაინგრესო — ხოლო თუ ამ ნანგრევებში მოყვება ქართველი ერი—მოჰყვეს! თუ ამ ნანგრევებზე გამეფდება შავი რეაქცია — გამეფდეს!—

*) ამხ. ლ. შენგელაიას წინა წერილში არის რამდენიმე კორექტურული შეცდომა. პირველ გვერდზე დაბეჭდილია: **ჩვენი ძველი ყალიბის პოლიტი ინტელიგენტის სახე აქ იყო.** უნდა იყოს: **სხეული აქ იყო.**

მეორე გვერდზე იმის წინ, სადაც ჩამოთვლილი არიან პოლიტ მოღვაწენი, უნდა იყოს: **ახლა მოვახდინოთ პოლიტ. მოღვაწეთა მოკლე პერსონალური „პერეკლიჩკა“.**

ასეთია ორივე ნოეს ურა ტაქტიკა. გასაგებიც არის: თუ ძველად ზღაპრულ ბიბლიაში ერთ წარღვნაზე ერთი ნოე მოდიოდა, ორ ნოეზე ერთი წარღვნა მოვიდეს — განა დიდი ამბავია?!.

რას სწერენ ნოეები? ნოე პირველი (წინედ მას მენშევიკები დიდ ნოეს ეძახდენ, ნ. რამიშვილს კი პატარა ნოეს. დღეს ორივე „დიდია“ თავისი უპასუხისმგებლობითა და პოლიტიკური სიბეცით). იძლევა ზოგად დებულებებს, ბოლშევიზმის დაცემის პრიმიტიულ თეორიას: 1) დაშლა იწყება ცენტრიდან, ხდება სამხედრო გადატრიალება, 2) საქმეს პერიფერია იწყებს, ხდება ერების განდგომა და მოსკოვთან ბრძოლა: 3) ევროპა უცხადებს ომს საბჭოთა კავშირს, საბჭოთა ხელისუფლება ეცემა, ხდება სხვადასხვა ერების დამოუკიდებლობის აღდგენა და სხვ. ერთი სიტყვით.

**ЛИБО ДОЖДИК, ЛИБО СНЕГ.**
**ЛИБО БУДЕТ, ЛИБО НЕТ.**

ეს თეორია იმდენად „ფართო“ და უნივერსალურია“, რომ მისი წამოყენება ნ. ჟორდანიას ყოველთვის შეეძლო, როგორც 1921 წელს, ისე 1918 წელსაც. ან აჯანყება მოხდება, ან ომი, ან შეიძლება სულ სხვა რაიმე მოხდესო. ერთი სიტყვით, ადამიანი ან დღე მოკვდება ან ღამე! მოდი და ნუ დაიჯერებ ზურგიძლიძის ასეთ „ფილოსოფიას“!

შეიძლება მეოთხე მოხდესო, ამბობს ნ. ჟორდანია, ე. ი. შეიძლება არ მოხდეს არც პირველი, არც მეორე და არც მესამე, არამედ შეიძლება მოხდეს სულ სხვა რამე, რაც არავინ იცის (არც ნ. ჟორდანიამ, რა თქმა უნდა!) მოდით და ააგეთ ახლა ასეთ „ფილოსოფიაზე“ თქვენი ტაქტიკა!

ახლა ვნახოთ კონკრეტულად როგორ აქვს წარმოდგენილი ნ. ჟორდანიას ეს სამი შემთხვევა. 1) „სამოქალაქო ომი დაიწყება ჯარიდან“, ე. ი. გამოვა ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც დაეყრდნობა ჯარს და მოახდენს გადატრიალებას „პერიფერიები არ მიემხრობიან ცენტრს“. იწყება სამოქალაქო ომის ახალი ფაზა: ცენტრში ახლად გაბატონებული ძალა ებრძვის პერიფერიებს, ე. ი. ეროვნულ ერთეულებს, ბრძოლა შეიძლება ასე გათავდეს: პერიფერიები გაუმკლავდებიან ცენტრს, შეინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და უძღვებიან თავიანთ საქმეებს, მაგრამ შეიძლება ცენტრი ისევ დაეპატრონოს პერიფერიებს, დაიმორჩილოს ისინი. როგორ წავა საქმე ამ შემთხვევაში? ნ. ჟორდანიას აზრით ახალი მთავრობა ერთა ლიგაში შევა, იქ დაისმება საქართველოში პლებისციტის მოწყობის საკითხი და ამ ნაირად საქართველო დაიბრუნებს დამოუკიდებლობას.

მაგრამ ვიკითხოთ, შეიძლება თუ არა რეალურ სინამდვილეში ყოველივე ეს ასე იდილიურად მოხდეს? ვინ გაბატონდება ცენტრში?

თუ მხედველობაში მივიღებთ საერთაშორისო მასშტაბით რეაქციის გაძლიერებას და სხვა მომენტებს, უნდა ვსთქვათ, რომ ბოლშევიკების შემდეგ რუსეთში გამარჯვებისათვის ყველაზე მეტი შანსები აქვს მონარქიას. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ **ძალა, რომელიც გაბატონდება მოსკოვსა და ლენინგრადში, ადრე თუ გვიან გაბატონდება ჩვენშიაც.** ეს შეიძლება არ მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 1) საქართველოში ამ მომენტისათვის არ გაჩაღდა სამოქალაქო ომი და 2) საქართველომ მიიღო რომელიმე დიდი სახელმწიფოს პროტექტორატი, ე. ი. თუ ის გამოეთხოვა თავის დამოუკიდებლობას. ფუჭი ოცნებაა იმაზე ფიქრი, თითქოს მონარქისტულ რუსეთს საქართველო თავს დააღწევს ერთა ლიგის საშუალებით.

მაშასადამე, პირველ შემთხვევაში, ე. ი. ცენტრში რომ რეაქცია გაბატონდეს, საქართველოს ამოცანა უნდა იყოს არა სამოქალაქო ომის გაჩაღება, მით უფრო იმ სახით, როგორც ეს ნ. რამიშვილის რეცეპტიდან გამოდის, არამედ ყველა რიგიანი სოციალისტებისა. კომუნისტების და საქართველოს პატიოსან პატრიოტების ერთიანი ფრონტი რეაქციისა და ეროვნული მონობის წინააღმდეგ.

2) იწყება ეროვნული ომები—აჯანყებანი, ეს არის მეორე შესაძლებლობა. ინიციატივა ეკუთვნის უკრაინას, თუმცა გაუგებარია რატომ უნდა იკისროს უკრაინამ ასეთი საქმე, თუ კი ის, ნ. ჟორდანიას აზრით „ნაციონალურად წინ წასწია და აღორძინების გზაზე დააყენა“, სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ! მაგრამ ვსთქვათ, რომ უკრაინამ „დაიწყო“. ცხადია, ჩვენც „ბანი“ უნდა მივცეთ, ე. ი. **უნდა ავჯანყდეთ:** ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა როგორც ცენტრში, ისე ჩვენშიც საბჭოთა ხელისუფლებაა. ნუ თუ ამის შემდეგ კიდევ გვეტყვიან, თქვენ ცილს გვწამებთ, პროვოკაციას ეწევით, ჩვენ არავითარი აჯანყება არ გვინდაო?!

3) მესამე შესაძლებლობა არის ომი. რუსეთ-ინგლისის ანტაგონიზმი დღეს იქამდე მივიდა, რომ „ის ვერ გადაწყდება მოლაპარაკებით და მშვიდობიანად. ან რუსეთი ან ინგლისი იზიაში. ასე დგას საკითხი“. მაშასადამე, დაიწყება ომი. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში საქართველო? 1) მას, როგორც ყველა ხალხებს „სურს მოსკოვის დამარცხება“, 2) ის პირველ ხანებში „ნეიტრალიტეტს იცავს“ და „შეტაკებაში არ ერევა“, ხოლო როცა „მოსკოვი საბოლოოდ დამარცხდება და ჩვენ დამოუკიდებლობის გარანტიას მივიღებთ“, დემოკრატიული მთავრობა არკვევს პერსპექტივებს და საქართველოს ნეიტრალიტეტს არღვევს“. თუ საქართველო და სხვა ერები ნეიტრალიტეტს იცავენ, მაშ ვინ ამარცხებს რუსეთს, ვინ იძლევა დამოუკიდებლობის გარანტიას ან რისთვის?! შემდეგ, თუ მოსკოვი „საბოლოოდ დამარცხდა“ და საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტია მისცეს, რა საჭიროა მაშინ ნეიტრალიტეტის დარღვევაზე ლაპარაკი?! მერე. რას ნიშნავს ნეიტრალიტეტი საქართველოსათვის, რომელიც მდებარეობს არა მშვიდ ოკეანეს რომელსამე კუნძულზე, არამედ შეადგენს საბჭოთა კავშირის ნაწილს? ომი რომ გამოცხადდეს, საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საბჭოთა კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნება დეზერტირი, რომელსაც საბჭოთა კანონები სასტიკად სჯის! მაშასადამე, საბჭოთა კანონების მიხედვით **ომის დროს საქართველოს ნეიტრალობა ღალატს მოასწავებს!**

მაშ, ომი რომ დაიწყოს ნ. ჟორდანია წინააღმდეგია აჯანყების? რა თქმა უნდა არა. ის ამბობს: „თუ ომის მსვლელობაში საჭიროება მოითხოვს ჩვენს აჯანყებას, ამის მოწოდება და ნებართვა უნდა გამოვიდეს მთავრობისაგან მისი თავმჯდომარის ფორმალური ხელისმოწერით“-ო. შემდეგ **„მარტოთ არ უნდა გამოვიდეთ და თავის თავის იზოლიაცია არ მოვახდინოთ“-ო ერთი სიტყვით, გამოვიდეთ, ე. ი. ავჯანყდეთ, მხოლოდ მარტოდ არა, სხვებთან ერთადო.**

ეს არის სწორედ ის გზა, რომელიც ქართველ ერს დაღუპვისა და განადგურების მეტს არაფერს მოუტანს.

ომი რომ გამოცხადდეს, საქართველომ ბოლომდე უაღრესი ლოიალობა უნდა გამოიჩინოს და საბჭოთა კავშირის დასაცავად გააკეთოს 100 პროც. იმის, რაც მას ევალება, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ წევრს და როგორც ერთ-ერთ პოლიტიკურად წინ წაწეულ რესპუბლიკას, რომელიც გეოგრაფიულად ფრიად საპასუხისმგებლო ადგილას მდებარეობს.

**ლეო შენგელაია.**

# ახალი იერიშები

მილიტარიზმი და ომები თანდაყოლილი, ორგანიული თვისებაა ბურჟუაზიული საზოგადოებისა, განსაკუთრებით კი მონოპოლისტურ კაპიტალიზმის ხანაში. სწორეთ ამიტომ, ყველა პროექტები განიარაღების და შეიარაღების ან შეიარაღების შემცირებისა მოკლებულია პრაქტიკულ მნიშვნელობას და ამ მიზნით მოწვეული ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ კონფერენციები, დაწყებული გააგის კოონფერენციით, რომლის ინიციატორათ იყო ისეთი მშვიდობიანობის მოყვარე, როგორც ნიკოლოზ რომანოვი,წარმოადგენენ საზიზღარ კომედიას. ამგვარივე საზიზღარ შირმას, რომლით იფარება ხალხთა მიწა-წყლით და ბედით ვაჭრობა, წარმოადგენს ამჟამად ერთა ლიგა, რომელსაც მეთაურობს ორიოდე ეგრედ წოდებული დიდი სახელმწიფო ინგლისის მეთაურობით.

ეს უკანასკნელი, ბოლო დრომდე პირველი, „ყველაფრის დამძლევი“ კაპიტალიზმის სახელმწიფო, რომლის საგარეო პოლიტიკა მთელი უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში გამოიხატებოდა ცეცხლით და მახვილით ხალხთა დამონებაში დედა-მიწის ყოველ მხარეში, იჩენს ამჟამად გაცოფებულ ენერგიას, რათა შექმნას ხელახლათ ანტი-საბჭოთა გაერთიანებული ფრონტი და საბჭოთა კავშირი ჩაითრიოს ომში.

ამ უძველეს ბურჟუაზიულ დემოკრატიის რეაქციონური მთავრობა აწყობს თავდასხმებს საბჭოთა დიპლომატიურ და სავაჭრო წარმომადგენლობაზე, ჩინეთში და ლონდონში, სწყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და, ბოლოს, ტერორისტულ აქტებისა საბჭოთა პასუხისმგებელ მუშაკების წინააღმდეგ სულის ჩამდგმელის და ორგანიზატორის როლს კისრულობს; ამავე დროს, საბჭოთა კავშირის შიგნით აწყობს ჯაშუშობის ქსელს. ყველა ამ გააფთრებულ ცდების მიუხედავად, ინგლისმა ვერ შესძლო აგრესიული გზით გაეყოლებია სხვა სახელმწიფოები და დარჩა განმარტოებული.

ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ახლო მომავალში ინგლისის მთავრობა ხელახლათ არ იქნება შეპყრობილი აგრესიული ციებ-ცხელებით და იგი მომავალშიაც ვერ შესძლებს სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან საერთო მტრულ პოლიტიკურ ხაზის მონახვას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ: ყველა ქვეყნის იმპერიალისტები ერთსულოვანნი არიან სოციალისტურ რევოლიუციის მიმართ სიძულვილში, მაშასადამე მსოფლიო ომი პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს მიმართ მტრობაშიაც.

სოციალისტურ რევოლიუციისათვის მებრძოლი პროლეტარიატმა უნდა მიიღოს ყველა ზომები საერთაშორისო მასშტაბით, რათა კაცობრიობას ასცდეს ახალი ხოცვა-ჟლეტა: „ომი-ომს“—ეს არის ერთათ-ერთი სწორი—გამოცდილი ფორმულა პროლეტარული პარტიის დამოკიდებულებისა ომის მიმართ. აქედან, ამ ფორმულიდან, თავის-თავად გამომდინარეობს საჭიროება რევოლიუციონურ ბრძოლის გაძლიერებისა ბურჟუაზიულ წყობილების წინააღმდეგ, მუშათა კლასის გაძლიერებულ დარაზმვისა სოციალისტურ რევოლიუციის—კომინტერნის—დროშის გარშემო. გართულებული საერთაშორისო მდგომარეობა, ამავე დროს, გვავალებს ჩვენ, გაათკეცებულ ენერგიით გავაგრძელოთ სოციალისტური აღმშენებლობა და მუდამ მზათ ვიყოთ სათანადო პასუხი გავსცეთ შეიარაღებული ძალით ყველა ცდებს ჩვენი მშვიდობიანი მუშაობის დარღვევისაკენ მიმართულს. ამ ჩვენ ბრძოლაში მუშათა კლასის ბატონობისათვის—საბჭოთა ხელისუფლებისათვის,—ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისათვის, ჩვენ მხარეზე და ჩვენთან ერთად არის და იქნება ყველა კლასობრივათ შეგნებული პროლეტარები და მშრომელები მთელი მსოფლიოსი და თვითეული პატიოსანი მოქალაქე, რომლის მსოფლმხედველობას არ მოეკიდა იმპერიალისტურ კაციჭამია პოლიტიკის ხავსი. ჩვენს წინაღმდეგ, რასაკვირველია, იქნებიან ყველა კლასობრივი მტრები სოციალიზმისა თავისი მემარცხენე დამატებით—სოციალ-რეფორმისტებთან ერთად.

როგორც სჩანს ჟორდანია-რამიშვილის გამოქვეყნებულ წერილებიდან, არა სცხრებიან ჩვენი საზღვარგარეთელი მენშევიკებიც და თავისი ახალი შემოტევის გეგმებს უფარდებენ განსაკუთრბით ომის შესაძლებლობას. სწორედ ამ უკანასკნელის გარემოების გამო, მენშევიკებს და ვინც მასთან არის, უნდა სურდეთ ომის გაჩაღება; ეს იმას ნიშნავს, რომ თავისი გეგმების განხორციელებისათვის, მათ სურთ კაცობრიობას, მაშასადამე პირველყოვლისა—მშრომელებს. თავზე დაატეხონ საშინელებანი მსოფლიო ომისა, რომელმაც 1914—1918 წ. წ. იმსხვერპლა რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანთა სიცოცხლისა და ნანგრევებათ აქცია მთელი ქვეყნები.

ამის შემდეგ მათ ჰყოფნით კიდევ გამბედაობა ილაპარაკონ სამოქალაქო ომისა და პროლეტარულ დიქტატურის საშინელებებზე!

პატრიოტიზმის ნიღაბ ქვეშ მენშევიკები შეუპოვარ დანაშაულს ჩადიან ქართველ ერის წინაშე, უმზადებენ მას ახალ საფრთხეს. ურჩევენ რა ქართველ ხალხს ბოლშევიკების წინააღმდეგ კავშირის დაჭერას „თუნდაც ეშმაკთან“, ისინი ამით აშორებენ მას რუს, უკრაინელ, ბელორუს და სხვა საბჭოთა კავშირის ხალხთა მშრომელ მასებისაგან, რომელთაც შექმნეს სრულუფლებიან და თანასწორ რესპუბლიკათა კავშირი და რომლებთანაც ერთად რევოლიუციისათვის მებრძოლი ქართველი მუშა, გლეხი და ინტელიგენტი არა ერთი ათეული წელიწადი იბრძოდა ცარიზმის და ბატონ-ყმობის წყობილების წინააღმდეგ.

„ასეთ (ე. ი. მდგომარეობის გართულების. კ. ჯ.) პირობებში, სწერს ნ. ჟორდანია, ს.-დ. პარტიის ვალია მხარი დაუჭიროს იმ ძალებს, რომელნიც დაუპირდაპირდება მოსკოვსა და მის ბატონობას და შეეცდება ეს მოძრაობა მიიყვანოს ლოღიკურ დასკვნამდე, საქართველოსა და მთელი კავკასიის მოსკოვიდან ჩამოშორებასა და ადგილობრივ სუვერენულ მმართველობის შედგენამდე“.

რა ძალები დაუპირდაპირდება „მოსკოვის ბატონობას“, ე. ი. საბჭოთა კავშირს, არ არის ძნელი წარმოსადგენი: ეს იქნება იგივე ძველი კარგათ „ნაცნობი“ ძალები იმპერიალისტურ სახელმწიფოებისა, დიდი თუ პატარა ყალიბისა. შინაურ ძალებიდან მენშევიკების მოკავშირე ძალაში ეყოლებათ, და კიდევაც ჰყავთ, ამხ. ვოიკოვის მკვლელის პარტია—მონარქისტები—და მემარჯვენე „სოციალისტები“, რომელნიც დიდ დაპირებებს მისცემენ ეროვნულ საკითხში—„დაუთმობენ“—რათა ოცნებაში წარმოდგენილ გამარჯვების მეორე დღესვე გამოაშკარავონ თავისი წვრილ-ბურჟუაზიული ველური ნაციონალიზმის ბუნება (მოიგონეთ კერენსკის ეროვნული პოლიტიკა ფინლიანდიის და უკრაინის საკითხში). ყველა ამ ძალთა მოსალოდნელ კომბინაციებში საქართველოს „დამოუკიდებლობა“ არავითარ შუაშია. როგორც კარგათ ცნობილია, სწორეთ ეროვნულ საკითხში მენშევიკები თავიდანვე თითქმის 1918 წ. 26 მაისამდე იცავდენ ცენტრალიზმს, მათი კონკრეტიული პროგრამა ამ საკითხში არ სცილდებოდა საოლქო თვითმმართველობას, და კულტურულ-ეროვნული ავტონომიაც კი მათთვის მიუღებელი იყო.

მათი პროგრამის „თვითეულების თვითგამორკვევის უფლების“ ნამდვილი კონკრეტიული შინაარსი კარგად იყო გამომჟღავნებული ბოლშევიკურ ჟურნალის „პროსვეშჩენიე“-ს და მენშევიკურ „ნაშა ზარია“-ს შორის პოლემიკით, მსოფლიო ომის რამოდენიმე ხნის წინ: ამ პოლემიკის დროს გამოირკვა, რომ მენშევიკებს ეს „უფლება“ ესმოდათ, როგორც კი გნებავთ მხოლოდ არა როგორც უფლება ერისა რუსეთისგან გამოთიშვაზე, არა როგორც უფლება დამოუკიდებლობაზე, უფლება, რომელმაც პოვა თავისი გამოხატულება საბჭოთა კონსტიტუციაში.

ხალხთა საპყრობილედან, რომელსაც წარმოადგენდა რუსეთის იმპერია, გამოთიშვა დაუშვებელი იყო, ხოლო საბჭოთა კავშირიდან—სანატრელია და მისაღებიცაა!

ეს თავისებური ლოღიკა რითი განირჩევა აწ ისტორიას მიბარებულ ჩვეულებრივი შავრაზმული „პატრიოტიზმის“ ლოღიკისაგან?: მხოლოდ ფრაზეოლოგიით— კლასობრივი სარჩული კი მათ ერთი აქვთ.

საქართველოს მშრომელებს ამ ლოღიკით ვერავინ გააბრიყვებს ამჟამად.

ნუ თუ წარმოსადგენია, რომ ნამდვილი სოციალისტი ზურგს უმაგრებდეს ბურჟუაზიას, რომელიც ყოველთვის მზათ არის დაგვაბრუნოს ცარიზმის, მძარცველ კაპიტალიზმის და მემამულეთა ბატონობის დროისკენ? მენშევიკების მიერ კი დაკავშირებული პოზიცია ობიექტიურათ სწორეთ ამისაკენ არის მიმართული, და ამას ადგილი აქვს იმ დროს, როცა ქართველი მუშა და გლეხი, მრავალ წლების განმავლობაში გაკაჟებული რევოლიუციონურ ბრძოლით თავისი კლასობრივი მყვლეფელებთან, თვითონ მმართავს თავის ქვეყანას.

მარქსიზმს თუ არ გამოეთხოვებოდენ ჩვენი საზღვარგარეთელი მენშევიკები მათ არ დაავიწყდებოდათ, რომ მარქსიზმის თვალსაზრისით პროლეტარიატი წარმოადგენს ერთად ერთს ბოლომდისინ დემოკრატიულ კლასს, რის გამო მას მიჰყვებიან, მასთან კავშირდებიან ყველა მშრომელები.

ამასთანავე მათთვის შესაძლო გახდებოდა ობიექტიური შესწავლა ჩვენი სინამდვილესი, რაც დაარწმუნებდა მათ იმაში, რომ:

1. პროლეტარიატის დიქტატურის მეოხებით ჩვენში დამყარდა ნამდვილი შეუფერებელი მშრომელთა დემოკრატია; რომ ამ დემოკრატიას აქვს ტენდენცია იქცეს გაშლილ სრულ სოციალისტურ დემოკრატიად, იმდენათ, რამდენათ მშრომელთა სახელმწიფო უზრუნველყოფილია თავისი მშვიდობიანი სოციალისტური აღმშენებლობაში გარეშე საფრთხისაგან;

2. არასოდეს წარსულში ქართველ ერის შემომქმედ კულტურულ ძალებს არ ჰქონიათ ისეთი ფართე შესაძლებლობა მშრომელთა საკეთილდღეოთ მუშაობისა, როგორც ამჟამად;

3. საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილებისა— საბჭოთა რესპუბლიკებისა—დამოკიდეულება დამყარებულია სრულ თანასწორობის ნიადაგზე და კავშირის ხალხთა შორის ურთიერთობა გამსჭვალულია თითეული ერების მიმართ ღრმა პატივისცემით; „დიდმპყრობელებს“ (ველიკოდერჟავნიკი) საბჭოთა საზოგადოებრივობაში არა აქვთ ადგილი.—მათი ადგილი არის მოქ. რამიშვილის გვერდით (თუმცა ნ. რამიშვილი თავისი წერილში ირწმუნება, რომ მას ეს მეზობლობა არ მოსწონს, მაგრამ კლასთა ძალთა განწყობილებას აქვს თავისი ულმობელი, რკინის ლოღიკა).

საბჭოთა კავშირის მშრომელები შესძლებენ, როცა ამას მოითხოვს საჭიროება, ღირსეული წინაღმდეგობის გაწევას იმპერიალისტებისა და მისი დამქაშებისთვის, დაიცავენ თავისი ხელისუფლების და სოციალიზმის საქმეს დიდი ოქტომბრის დროშის ქვეშ კომუნისტური პარტიის და მესამე ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ნ. რამიშვილის ტიპის პოლიტიკოსების დიდი სურვილი და იმედი პატარა ტიერის როლში გამოსვლისა გაუცრუვდებათ. საბჭოთა კავშირის მშრომელები, ერთად იბრძოდენ რევოლიუციის დროშის ქვეშ და გამარჯვებულნი არიან ამჟამად. მომავალშიაც მზათ იქნებიან ერთად და ბოლომდისინ დაიცვან სოციალისტური რევოლიუციის საქმე და მიიყვანენ მას სრულ გამარჯვებამდე.

კ. ჯავრიშვილი.

# ქართული ემიგრაციის ახალი ავანტიურის გამო

იყო დრო, როდესაც სოც.-დემოკრატებისთვის სრულებით არ არსებობდა ეროვნული საკითხი არამც თუ რევოლიუციამდე, რევოლიუციის შემდეგაც-კი. ისინი იყვენ განუყოფელი პატრიოტები დიდი რუსეთისა.

ნ. ჟორდანიამ საშინელი არევ-დარევა შეიტანა ამ საკითხში. მან ვერ მისცა პარტიას ერთი გარკვეული ხაზი და სახელმძღვანელო პროგრამა. მას ავადმყოფობათ დასჩემდა დღეს თქმულის ხვალ უარყოფა. პარტიის ლიდერმა საქართველოში შექმნა ეპოქა რევოლიუციისა და მთელი 2 ათეული წლების განმავლობაში იმას ჩასჩიჩინებდა ხალხს, რომ ეროვნული საკითხი რევოლიუციამ არ იცის, რომ ის ანტი-რუსული და ანტი-სომხურ პოლიტიკის მატარებული ინტელიგენციის გამოგონებაა, რომ საქართველოს ისტორიული ნაციონალური მოძრაობა, (აჯანყებები და სხვ.) გამომდინარეობდა პრივილეგია დაკარგულ თავად აზნაურების სურვილებიდან, რომელიც მუდამ ოცნებობდა საქართველოს განათვისუფლებაზეო და სხვ.

ნ. ჟორდანიას კარნახით საქ. სოც.-დემოკრატიამ ქართველ ერს კულტურული ავტონომია შესთავაზა. ჟორდანია ამას ამართლებდა იმით, რომ ის იყო ცხოვრების ღრმა მიმდინარეობის უტყუარი გამოხატულება, ხალხის გულის ნადები და შეუმცდარი სამოქმედო პროგრამა. ჟორდანია ამ მიმართულებით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა ყველაჯურ ბურჟუაზიულ-ნაციონალურ იდეოლოგიის წინააღმდეგ, ვინც კი გაბედავდა, და ქართველ ერს პოლიტიკურ ავტონომიის მიღებას ურჩევდა.

ნაციონალისტებთან კამათში პარტიის ლიდერი ასაბუთებდა: „ყოველი ერი მიდის თავისი საკუთარი გზით და საკუთარი ჭკუით, ქართველობის საკუთარი გზაა,—გზა ინტერნაციონალური;; რის შეცვლა შეუძლია არა ქადაგებას, არამედ ისტორიულ პირობებს. ეს პირობები რამოდენიმედ განჩიდება მსხვილი ბურჟუაზიის აღორძინებით. მაშინ ჩვენი ინტელიგენციის ნაციონალიზმი ამ ბურჟუაზიის იდეოლოგია იქნება, მაგრამ ამ დროისთვის პროლეტარიატში ისე ძლიერი იქნება კლასიური შეგნება და ინტერნაციონალური სული, რომ ნაცონალიზმი მას და მის მიმყოლ გლეხობას ოდნავად ვერ ჩაითრევს. ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ კავკასიის სხვა ერებში ნაციონალიზმი დღეს გაძლიერებულია. და აი, სწორედ ქართველი მუშა ხალხის ისტორიული მოწოდებაა, შეებრძოლოს ამ სხვა ერთა ნაციონალიზმს, თანდათან მოიხმაროს მათი პროლეტარიატი და გლეხობა და ასე ინტერნაციონალიზმში ყველა ერები გაახატონოს. სწორედ ამიტომ უარყვოფთ ჩვენ ქართულ ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიას, ვინაიდან ის ხელს შეუშლიდა ჩვენს ხალხს თავის მისიის შესრულებაში. კავკასიაში, ამ მრავალ ეროვნებათა ქვეყანაში უნდა იყოს ერთი საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციაო“— და სხვ.

ამ საკმაოდ ვრცელი ამონაწერის მოყვანა, იმიტომ დაგვჭირდა, რომ ერთხელ კიდევ გვეთქვა მკითხველ საზოგადოებისთვის თუ როგორ თავგამოდებით იბრძოდა ნ. ჟორდანია თვითმპყრობელობის ხანაში მთლიან რევოლიუციონურ ფრონტის აუცილებლობის შესახებ რუსეთის პროლეტარიატთან კავშირში და როგორ თავ-დავიწყებით ებრძოდა ის ქართულ ნაციონალურ პარტიებს.

თუ არ ვცდებით ჯერ კიდევ თებერვლის რევოლიუციამდე მე-2 ინტერნაციონალის ბელადი და ნ. ჟ—ს ერთგული კოლეგა კაუცკიც—კი წინააღმდეგი იყო იმისი, რომ ამ.-კავკასიის ერები გამოყოფოდენ მთლიან რევოლიუციონურ რუსეთს და შეექმნათ წვრილი ეროვნული ერთეულები.

სოც.-დემოკრატებისათვის ვერც თებერვლის რევოლიუციამ გადასწყვიტა ეროვნული პრობლემა. ჩვენი ცნობილი დეპუტატები დროებით მთავრობის შემადგენლობიდან სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ გამოყოფისა და ჩამოშორების ტენდენციებს, რათა არ დარღვეულიყო მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი რუსეთისა.

გეგეჭკორი, ჩხეიძე და წერეთელი პირში ბჭრიას ჩრიდა უკრაინისა და პოლონეთის წარმომადგენლებს, რო-

მელთაც სურდათ განევითარებიათ იდეია თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისა.

თებერვალს მოჰყვა ოქტომბრის აქტი, ოქტომბერს ბრესტის ზავი, შემდეგ ამიერ-კავკასიის და უკანასკნელად საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველო გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს.

მაგრამ მაშინ დამოუკიდებლობა ჩვენთვის არ ყოფილა ფეტიში და არც ქართველი ხალხის უდიდესი ნება-სურვილი. ის ნაკარნახევი იყო გართულებულ საგარეო საბედისწერო მდგომარეობით, (ოსმალეთის შემოსევა), რომელმაც იხსნა განმარტოებული ქართველი ხალხი ფიზიკურ განადგურებისაგან და რაშიაც ჩვენ სრულიად მართალი ვიყავით.

დავშორდით რუსეთს და გარს გვეხვია რაღაც ბურუსი. გაურკვევლობა, უსაზღვრო და დაუსრულებელი სინანული, მართალი იყო ირაკლი წერეთელი, როდესაც მან დამფუძნებელი კრებაში წარმოსთქვა: „საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენი გამარჯვება—კი არ არის, ჩვენი დამარცხებაა“. სოც.-დემოკრატიას სწამდა, რომ რევოლიუცია მენშევიზმია, ხოლო ბოლშევიზმი ავანტიურა და უდღეური ექსპერიმენტები; რუსეთში მენშევიზმი დამარცხდა. მაშასადამე დამარცხდა რევოლიუციაც. პატარა, მაგრამ დამოუკიდებელი ბოლშევიკური საქართველო უკანასკნელი დასაყრდენია რევოლიუციისა და მისი მიღწევების გადასარჩენად.

ასე აზროვნობდენ და მოქმედებდენ ს.-დ. პარტიის ლიდერები, როგორც ცრონებითი მთავრობის შემადგენლობიდან, ისე დემოკრატიულ საქართველოს ხანმოკლე პერიოდებში.

დამფუძნებელმა კრებამ მენშევიკებს არგუნა სახელმწიფოებრივი მმართველობის საჭე. ყველა დანარჩენი პარტიებიც მხარს უჭერდენ მას ქვეყნის მმართველ-გამგეობის საქმეში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ იარაღით ხელში ეცადათ მენშევიკების დამხობა.

მენშევიკებმა „იმოღვაწესვეს“ რაც შეეძლოთ და როგორათაც შეეძლოთ. მაგრამ სულ ჩქარა აღმშენებლობის ნიადაგზე მათ განიცადეს უდიდესი კატასტროფიული მარცხი.

დამარცხდა მენშევიზმი, დამარცხდა მისი პოლიტიკაც.

ბრძოლაში დაღუპულ სარდალს ქებითა და დიდებით იხსენიებენ. მენშევიზმის სამარცხვინო დამარცხებამ კი მხოლოდ-ღა მწარე მოგონება დასტოვა მათ მიერ განწირულ ქართველი ხალხის მეხსიერებაში.

მენშევიზმი დაამარცხა არა მარტო ფიზიკურმა უძლურებამ, როგორც ამას სამართლიანად ამბობენ ხოლმე, არამედ კიდევ უფრო მათმა უნიჭობამ... რეალ პოლიტიკის უქონლობამ.

ვამაყობდით იმით, რომ ბუნებამ თავისი მდიდარი კალთა საქართველოს მიწა-წყალზე დაბერტყა.

მაგრამ დავივიწყეთ ის, რომ საქართველო ეს უამრავი დოვლათით აღსავსე მშვენიერი კუთხე მისი გეოგრაფიული მდგომარეობით გზა და ხიდია დასავლეთ—იმპერიალისტურ ევროპისა და სრულიად გამოგვრჩა მხედველობიდან ის გარემოება, რომ რევოლიუციონურ რუსეთიდან გამოთიშული ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნდა არც საკუთარი ეკონომიკა და არც ფიზიკური შემძლეობა, დამოუკიდებლობის შემდეგ ფაქტიურად გადაიქცეოდა ევროპის ბურჟუა-კაპიტალისტების საჯიჯგნად, და მაშასადამე, ასეთ საქართველოს,—თუნდაც „ნეიტრალურს“—საბჭოთა სოციალისტური რუსეთი ვერ მოითმენდა...

ქართულმა მენშევიზმა თავის დამარცხება ერის დამარცხებად აღიარა, ხალხს პოლიტიკურ სუვერენობის აღდგენა შეპირდა და ახლად დამყარებულ ძალა-უფლებას შიგნით და გარედ საომარი მდგომარეობა შეუქმნა.

აგვისტოს სახით მშრომელი ხალხის მშვიდობიან ცხოვრებაში მენშევიკურ-ნაციონალისტურ იდეოლოგიის შეოხებით მოხდა კონტრ-რევოლიუციონური აქტი. ამბოხმაც გამოაცალა მას საგრძნობი აქტივი რევოლიუციონურ მუშებისა და გლეხების.

ვერც ერთი ბოლშევიკური პროპაგანდა - აგიტაცია ვერ შემატებდა მმართველ პარტიას ხალხის ამდენ თანაგრძნობას, რამდენიც მოუპოვა მას ემიგრაციის მიერ ქართველი ხალხის სხეულზე გათამაშებულმა საშინელმა ტრაგედიამ.

დამთავრდა აგვისტოს სისხლიანი ავანტიურა და ჩვენ ვფიქრობდით, რომ მისი მწარე მოგონება ოდნავ მაინც შეარყევდა მენშევიკურ ბელადების ფსიხიკას, ოდნავ მაინც შეაწუხებდა მათს პოლიტიკურ სინდისს და მომავლისათვის მაინც მოისვენებდენ და მოგვასვენებდენ...

ჯერ კიდევ ადრე ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერში მკითხველ საზოგადოებას ვამცნეთ ქართულ ემიგრაციის შავი ზრახვები საქართველოში მორიგი აჯანყების მზადების შესახებ. ბევრ გულუბრყვილოებს ყველაფერი ეს ზღაპრად მოეჩვენათ. ჩვენ ბედნიერები ვიქნებოდით, რომ მოლოდინი არ გამართლებულიყო.

მაგრამ ფაქტები, რომლებიც პარიზიდან საგანგებოდ წარმოგზავნილმა ემისარმა ოსმალეთის საზღვარზე კეთილსინდისიერად გადმოიტანა, ყურში ჩაგვჩახის იდუმალ საშინელებას.

ეს ფაქტები გვეუბნება იმას, რომ პარიზის ქართული ემიგრაცია კვლავ ბრძოლის გუნებაზეა, ის მორიგი აჯანყებისათვის ირაზმება და ფართო ფართე პროგრამით—ვინემ ოდესმე.

ნ. ჟორდანია მკითხაობს მოსალოდნელ საშინაო გართულებაზე. ომზე და აჯანყებებზე. და მოუწოდებს თავის „მრევლს“ მომზადებულად და დარაზმულად შეხვდეს ყველა ცალკე მომენტს, ანტი-საბჭოთა პარტიებთან ერთად ზურგში მახვილი ჩასცეს საბჭოთა ძალა-[illegible]ნას თუ კი რომელიმე გართულება რეალურ ფაქტად იქცევა.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია თუ ნოე ჟორდანია, რომელსაც წინედ არ სწამდა ეროვნული განკერძოება, რომელიც ყველაზე უფრო ინტერნაციონალური იყო, ნ. ჟ—ია; რომელიც მსოფლიო ომის დასაწყისში იყო უკიდურესი პატრიოტი—ობორონეცი მეფის რუსეთისა დღეს ეროვნულ თავისუფლებისა და სოციალიზმის მოშულე მტრებთან-ერთად შეხმატკბილებული, რუსის მონარქისტებთან, ლორდებთან, პოლონეთისა, აზერბეიჯანისა და მთიულების რეაქციონურ ზუბრებთან ბლოკში სურს მსოფლიოში ერთად ერთი თავისუფალი ქვეყნის—საბჭოთა კავშირის დასამარება, სოციალიზმის მშენებელ მუშებისა და გლეხების გასრესა.

ომი აუცილებელია და ის გადასჭრის საქართველოს ბედსო—ვკითხულობთ ნ. ჟ—ას სადეიექტივო წერილში. თუ მართლაც აღსრულდა ქართული ემიგრაციის ნატვრა და საბჭოთა კავშ. მართლაც მოახვიეს ომი, რომელიც რაღა თქმა უნდა მთელი თავისი საშინელებით მიმართული იქნება საბჭოების წინააღმდეგ და კერძოდ საქართველოს [illegible].

ვერც რა მოგვცა ჩვენ იმპერიალისტურმა ომმა? მას [illegible] 200.000 სიცოცხლით სავსე ქართველი ახალგაზრდობა.

რა მისცა ქართველ ხალხს თქვენ მიერ მოწყობილმა 24 წლის ავანტიურამ?

ფიზიკური განადგურება, მწვავე და განუკურნებელი ტკივილები...

რას მისცემდა მას მომავალი ომი, რომელიც გაცილებით უფრო მძაფრი და უჩვეულო იქნება ვიდრე წარსული ომები?

დღეს მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები ქვეყნის გიგანტიურ მშენებლობაშია ჩაბმულ და ომისა და სხვა გართულებებისათვის მას არ სცალია.

მაგრამ თუ ევროპის იმპერიალიზმი მას ძალად მოახვევენ თავზე, საბჭოთა კავშირი ომისათვისაც მზადაა და უფრო კარგად, ვინემ ოდესმე: მასთან იქნება საქართველოს მშრომელები.

და ამ გართულებულ პოლიტიკურ მომენტში, როცა საქართველოს ემიგრაცია ახალ ავანტიურის სამზადისშია, როცა ქართველი ერი სდგას მოსალოდნელ დიდ უბედუ-

რების წინაშე—ასეთ დროს სიჩუმე—უმოქმედობა, პოლიტიკის გარეშე დგომა ჩვენ მიგვაჩნია ისტორიულ დანაშაულად.

ამისათვის მოუწოდებთ ჩვენს ყოფილ ამხანაგებს, რომლებიც ერთ დროს მედგრად იბრძოდენ სოც.-დემოკრატიულ დროშის ქვეშ საქართველოს მშრომელთა საკეთილდღეოდ, რომლებიც აქვე არიან ჩვენში, და ეწევიან ხელისუფლებასთან თანამშრომლობას,—დაარღვიონ სიჩუმე. ამოიღონ ხმა, საქვეყნოდ გამოსთქვან თავისი აზრი ემიგრაციის უკანასკნელ პროვოკაციულ ნაბიჯების შესახებ. ამას მოითხოვს მათგან ქართველი ერის მომავალი ბედი.

ა. ვადაჭკორია.

# საქ. უნივერსიტეტის მიმართვა მსოფლიო მეცნიერებისადმი*)

**პატივცემულო კოლეგებო!**

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ სახელმწიფოთა და ერთა შორის ურთიერთობის ჰორიზონტზე შავი ღრუბლები იკრიბება. არავის უფლება არა აქვს თავი მოიტყუოს იმის შესახებ, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთელი გულის ყური და ენერგია ახალი გართულების შექმნისაკენ და კაცობრიობისათვის ახალი უსაშინელესი სისხლის ღვრის თავზე დატეხისაკენ არის მიმართული. ჩინეთში წარმოებული იმპერიალისტური პოლიტიკა ერთის მხრივ, უდიდესი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც ინგლისის მიერ იქნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადადგმული, მეორე მხრივ, პრელიუდიაა იმ საშინელი კატასტროფის, რომელსაც უმზადებს ინგლისის კონსერვატიულ პარტიის კარნახით წარმობული პოლიტიკა უკანასკნელ ომის საშინელ შედეგებისაგან ჯერ კიდევ გაუმთელებელს კულტურულ კაცობრიობას.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ მთელი ეს გართულების და შეტევის პოლიტიკა უპირველესად ყოვლისა მიმართულია იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელიც განვლილი ომის უბედურ შედეგებისაგან გადარჩენას იმპერიალიზმის გაძლიერებაში კი არ ხედავს, არამედ იმ საფუძვლის და დასაყრდენის მოსპობაში, რომელიც იმპერიალისტურ პოლიტიკას ასაზრდოებს და სასიცოცხლო ძალას აძლევს. დღეს მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ იცის, რომ მშვიდობიანობისა და ომის საწინააღმდეგო პოლიტიკის ერთად-ერთი მტკიცე მომხრე არის საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკა. ჩვენ კარგად გვახსოვს, პატივცემულო კოლეგებო, რომ თავის დროზე თქვენ მოვალეობის წმინდა მოწოდებათ მიიჩნიეთ თქვენი ქვეყნების და სახელმწიფოთა ინტერესების დაცვა და საამისოდ საქვეყნოდ ხმა აღიმაღლეთ; ეს ის დრო იყო, როდესაც ირგვლივ იმპერიალისტური ომის საშინელი ქარიშხალი გრიალებდა, მშვიდობიანობა მხოლოდ უკვე მოგონება ღა იყო და თქვენ წონა და აკადემიური ავტორიტეტი ბრძოლის ბედის სასწორზე შეაგდეთ, როგორც ერთ-ერთი რეალური ძალა.

აგრესიული და თავდასხმითი ტაქტიკა, რომელსაც აწარმოებენ ჩვენი კავშირის წინააღმდეგ, ჩვენს პატარა ქვეყანასაც მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევას და ომის მთელ საშინელებას უმზადებს.

ამიტომაც, ჩვენ მეტი უფლება გვაქვს და მოვალეობაც გვაწევს მოგმართოთ თქვენ, როგორც მეცნიერების ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ თანამებრძოლთ, ცივილიზაციის, კულტურის და მეცნიერული შემოქმედების ელემენტარულ მოთხოვნის დაცვისათვის შემდეგი განცხადებით:

ათი წელია, რაც დაიმსხვრა თვითმპყრობელობის ბორკილი, რომელიც ჩვენს ეროვნულ სხეულს ასი წლის განმავლობაში ძვლამდე ხეხავდა. ასი წელია რაც გაიმარჯვა შრომამ ძალადობაზე და ისტორიას ჩააბარა კლასები და ჯგუფები, რომლებიც თვითმპყრობელობის ხერხემალს წარმოადგენენ. განათლებულმა კაცობრიობამ კარგად იცის რას წარმოადგენდა რეჟიმი, რომელიც ეროვნული უმცირესობათა პრეტენზიას ფიზიკურ არსებობაზე „პოგრომით“ უპასუხებდა და კულტურულ განვითარებაზე—რუსიფიკატორული სკოლით.

ოქტომბრის რევოლიუცია არის ძიჯნა, რომლითაც იწყება ჩვენი ეროვნული აღორძინება და კულტურული შემოქმედება, რადგან მან მოსპო ის ძალები და წრეები, რომლებიც ამ აღორძინების და შემოქმედების დაუძინებელ მტრებს წარმოადგენენ.

ათი წლის განმავლობაში ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ და ამის შედეგია, რომ ჩვენს წარმომადგენლებს თქვენ არა ერთხელ ხვდებით სხვადასხვა სამეცნიერო ყრილობებზე, სადაც ისინი ამ ათი წლის განმავლობაში შექმნილ და მოწყობილ უნივერსიტეტის სახელით ლაპარაკობენ. თქვენ შემთხვევები გაქვთ თქვენთვის მისაწდომ და გასაგებ ენაზე გაეცნოთ ჩვენს მეცნიერულ მიღწევებს, რომლებიც პერიოდულ გამოცემებში, თუ ცალკე გამოკვლევების სახით იბეჭდება სხვადასხვა ევროპიულ ენებზე. ამ ათი წლის განმავლობაში ჩვენ დავაარსეთ და მოვაწყვეთ უნივერსიტეტი და სხვა დამხმარე სამეცნიერო დაწესებულებანი და ინსტიტუტები. ჩვენ ჩავებით საერთო აღმშენებლობითი მუშაობაში და ქვეყნის სამრეწველო ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად მთელი ღონეს და ენერგიას იმ წმინდა საქმის კეთებას ვანდომებთ, რომელსაც მეცნიერული შემოქმედება ეწოდება და რაც თქვენთვის ყველაზე უფრო ახლო და ძვირფასია.

მით უფრო უფლება გვაქვს ჩვენ, ჩვენთვის და თქვენთვის საერთო და ძვირფას მუშაობაში თავდავიწყებამდე ჩაბმულთ, მოგმართოთ წინადადებით—გაიგოთ—ჩვენი გულისწყრომა და აღშფოთება მათ წინააღმდეგ, ვინც ტლანქად და უხეშად ყოველივე ღონეს ხმარობს ჩვენს მუშაობას ხელი შეუშალოს და ჩვენს ირგვლივ ისეთი არევ-დარევა შექმნას, რომელიც ყოველივე საშუალებას წაგვართმევს შემოქმედების და აღმშენებლობის გზის სვლისა.

თქვენ ვალდებული ხართ, პატივცემულო კოლეგებო, დღესვე, ვიდრე გვიან არაა, ხმა აღიმაღლოთ იმათ წინააღმდეგ, ვისაც ცეცხლთან თამაში გასართობათ მიუჩნევიათ.

ჩვენ შეელას არავისაგან ველით, არც ვსაჭიროებთ. ჩვენი საუკეთესო მკავშირეა მშვიდობიანობა, როგორც პირობა პატიოსანი შრომისა და კულტურული აღორძინების. არც თქვენი ქვეყნიდან გახიზნულ, გაბოროტებულ ემიგრაციას და არც იმათ, ვინც თავისი მიზნებისათვის მის გამოყენებას ცდილობს და არეულობისა და გართულების შექმნაზე ოცნებობს. ჩვენს შინაურ ცხოვრებაში ჩვენ არ ავყვებით და ვერ ჩავთვლით იმ ძალათ, რომელსაც, გარდა უბედურებისა და მწუხარებისა რისიმე მოტანა შეეძლოს ჩვენი ხალხისათვის. ამიტომაც, ჩვენ გადაჭრით ვიმიჯნებით ყველა ამ ძალებისაგან, რომ იმათაც ჩვენ მოწინააღმდეგე ხელის შემშლელს და ჩვენი ხალხის მტრულსა და ბოროტ ძალებს მივაკუთვნებთ.

იმედი გვაქვს, რომ მსოფლიო მეცნიერთათვის გაუგებარი არ დარჩება ჩვენი სულიერი მისწრაფებანი, ჩვენი აღშფოთება იმ აგრესიულ გამოწვევითი პოლიტიკით, რომელსაც აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვართ აგრეთვე, რომ თქვენთვის გასაგები იქნება ჩვენ მტკიცე განმზადება ბოლომდე მხარი დაუჭიროთ ჩვენს მთავრობას, რომელიც დღეს მთელი თავისი ძალღონეს ანდომებს ქვეყნის მშრომელთა მასების რამოდენიმე შთამომავლობის იდეალის განხორციელებას და რომელიც ამავე დროს მედგრად გამოდის მშვიდობიანობისათვის და, მაშასადამე, კულტურისა და ცივილიზაციის მთავარი პირობისათვის მებრძოლად.

*) იბეჭდება დაგვიანებით.



# ქართული ემიგრაციის „საქმიანობა“

საქართველოდან გახიზნული ქართული ემიგრაცია გაფანტულია უცხოეთის სხვადასხვა კუთხეებში.

1922 წ. მიწურულამდე სტამბოლი წარმოადგენდა ერთგვარ დიდ ოაზისს ჩვენი ემიგრაციისას, ხოლო ქემალის საბერძნეთზე საბოლოო გამარჯვების შემდეგ ეს მდგომარეობა რადიკალურათ იცვლება და ქართული ემიგრაციაც სტოვებს სტამბოლს და ეშურება ევროპის სხვადასხვა ცენტრებისაკენ.

ყველაზე მოზრდილი ნაწილი ქართული ემიგრაციის იმყოფება ამჟამად პარიზში, ხოლო უმნიშვნელო ნაწილი კი—სტამბოლ-პრაღა (ჩეხო-სლოვაკია) ბერლინ—პოლონეთში.

პოლიტიკური ცენტრი ჩვენი ემიგრაციის იყო და ჯერ-ჯერობით რჩება პირზი. აქ არის თავმოყრილი „ყოფილი ხალხის“ დიდი უმრავლესობა და აქვე კეთდება (?) „დიდი პოლიტიკა“-ც.

საფრანგეთში ამჟამად იმყოფება 600—700 კაცი, ამ რიცხვიდან ორი მესამედი დიდი ხანია რაც ჩამოშორდა „ლიდერებს“ და ჩაბმულია ხელჩართულ ბრძოლაში არსებობისათვის, მაგრამ ამ მოზრდილ ნაწილს ინერტიულობას და სიჩუმეს „მეთაურები“ ბოროტათ იყენებენ და მათი სახელით კვლავ კეთდება „დიდი პოლიტიკა“. ამ „დიდ პოლიტიკის“ შედეგათ უკვე საკმაო უბედურება დაატყდა ჩვენ ხალხს თავზე 1924 წ. აგვისტო-სექტემბრის აჯანყების დროს და „დიდი პოპულიარული“ სიყვარულიც დაიმსახურეს **პარიზელებმა** ამის გამო.

სამწუხაროდ, ამ მწარე გაკვეთილს **პარიზელებისათვის** არაფერი უსწავლებია და ამ დღეებში ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებულ ნ. ჟ-ისა და რა-ის წერილებიდან უკვე ნათლად სჩანს, თუ რაში გამოიხატება **პარიზში** მოკალათებული „ლიდერების“ „მოღვაწეობა“.

თუ ქართულ მენშევიზმის ყოფილ ლიდერებს კიდევ გასავალი აქვთ ევროპის მენშევიკურ ფენებში, ეს მხოლოდ და მხოლოდ მასსების თავიანთ რიგებში შენარჩუნების მიზნითაა გამოწვეული, მაგრამ საბჭოთა კავშირში ევროპის მუშათა დელეგაციების ჩამოსვლამ და საქართველოში მათი თვალით ნახულ ამბებმა უკვე ამ მხრივაც წყალი შეუყენა ქართველ ემიგრაციის ლიდერებს და მკითხველი ალბათ შეამჩნევდა საქართველოდან გახიზნული „ლიდერების“ ახალ მოკავშირეებს, ერთი მათგანია **კენტერბერიის ეპისკოპოზი** (ინგლისის უმაღლესი სასულიერო წოდების პირია იგი); ხოლო მეორე გახლავთ **რომის პაპა** ამ უკანასკნელთან სპეციალური „ელჩიც“ კი ყოფილა რ. ინმილოს სახით დანიშნული.

მართლაც და ჩინებული „მეგობრების“ წრეში არ ამოუყვია თავი ამ „ყოფილ ხალხს“?.

ამის შემდეგ ემიგრაციის „სოციალიზმის“ პოზიციეზი, ალბათ უკეთესად იქნება გამაგრებული.

თანამედროვე მომენტში, როდესაც სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს კაპიტალისტების სისტემისა—ინგლისის მეთაურობით და სოციალისტურ სისტემის შორის, ჩვენი ფედერატიული კავშირის სახით, ქართული მენშევიზმის „ლიდერები“ ხუცებთან დაკავშირებულან და ასე იცავენ თურმე „მარქსისტულ“ პოლიტიკას.

საქართველოს სინამდვილეში წინეთ არსებული სხვა პარტიები საშუალებას მოკლებულნი არიან უცხოეთის პრესაში გამოვიდნენ და მოხსნან თავიანთი „ჭორის გუდა“, ვინაიდან ეს არავის არც აინტერესებს და არც ანალოგიურ უცხოეთის პარტიების მიზანში შედის, ამიტომ იძულებულნი არიან იყონ „ტყვეობაში“ ნ. რ-ის ავანტიურისტული „პოლიტიკის“.

ქართულ გაზეთების სიმრავლე **პარიზში**, სამოციოთხმოცი ცალის ტირაჟით თვითეული, სრულებით არ გამოხატავს ემიგრაციის მთლიანობას, პირიქით, აქ ბრძოლაა ყველასი, ყველას წინაამდეგ.

ასეთი სიმრავლე მაჩვენებელია იმ აზრთა სხვადასხვაობის, რომელიც დაიბადა „მეთაურთა“ შორის და დიწყო მათ შორის „ბაასი“.

ამას წინეთ, ს. ფ-მა, ს. ფირცხალავას მეთაურობით (მთელი **მრევლი** შესდეგბა 9—12 კაცისაგან), გამოუშვეს „სახალხო საქმე“ (რვეული მეორე) და ს. დ. დაჭკვიანებას უქონებენ, აგონებენ რა ამავე დროს წარსულ სიჭაბუკეს პოლიტიკაში.

ასეთი „სიბრიყვის“ გამო ს. ფ-საგან „ბრძოლა“ № 22, ამა წლის 11 ივნისის, მოთმინებიდან გამოსულა და „მცირე განმარტების“ სახით წერილში უშვერად აგინებს ს. ფედერალისტებს და მოაგონებს ამავე დროს არსებულ „პარტიათა შეთანხმებაზე“, ალბათ „ბრძოლის“ კალმოსნებს მოუნდომებიათ ამ „ბრიყვების ჩაჩუმება“, რომელთაც გაბედეს და ხმა ამოიღეს.

თვით პარიზის ს.-დ. ორგანიზაციაში არ არსებობს ამჟამად მთლიანობა. ეს მთლიანობა დაირღვა ჯერ კიდევ 1924 წლის აჯანყების შემდეგ და დღემდე ვერ გამოუნახავთ საერთო ენა ერთმანეთში ვერც გამონახვენ.

ამჟამად კიდევ გრძელდება „პარტიული სასამართლოების საშუალებით გასამართლება ყველა იმათი, ვინც ასეთი „გულწრფელი“ წერილები მისწერეს კ. ჭუმბურიძეს და შემდეგ ეს გამოქვეყნდა პრესაში.

თვით ის ფაქტი, რომ პრაღიდან იქნა გამოგზავნილი საქართველოში ემისარად ვანო ქარცივაძე, ნ. რამიშვილის გაბრიყვებული, აშკარად ამჟღავნებს იმ ფაქტს, რომ დღეს პრაღის (აიოლლოს ჯგუფი 9 კაცი მ. გ.) გარეშე „ბრიყვები“ ემიგრაციაში არ მოიძებნება.

პარიზიდან „ყოფილ ხალხს“, არამც თუ ემისარის, თვით იქ არსებული „სტატუს ქვო“-ც ვერ შეუნარჩუნებიათ.

ს. პ. კედიას, ალ. ასათიანის და ლ. კერესელიძის ჯგუფი სასტიკად ებრძვის ყოფილ მთავრობას პრესის თუ საჯარო კრების საშუალებით.

შეგნებული მუშების და ინტელიგენციის ნაწილმა დიდი ხანია ზურგი უქციეს პარიზელებს და პირი შინისაკენ იბრუნეს, მეორე ნაწილი ახალგაზრდობის ყოფ. მარქსისტების გადაბაგრდა ფაშისტებისაკენ. ნაწილმა სრულებით დასტოვა „პარტიაც“ და „მთავრობაც“ და „არც იქით და არც აქეთის“ პოლიტიკას დაადგა, ასეთები ბლომათაა პრაღაში.

სტამბოლი და ბერლინი, ხომ ემიგრაციის მხრივ ყველაზედ უმნიშვნელო ქალაქებია, სადაც ჩარჩენილია თითო-ოროლა ემიგრანტები და სცდილობენ ყოველგვარი საშუალებით არსებობისათვის ბრძოლას.

პოლონეთში 1922 წ. მოეწყო ზოგირთი სამხედრო პირები და ყოფილი იუნკრები, ამ უკანასკნელებმა უკვე დაამთავრეს სამხედრო სკოლა და ყველანი მსახურებენ პოლონეთის ჯარში, როგორც **ძლიერ საიმედო პირები**. პოლონეთში იქნება 100—120 კაცამდე. ამ რიცხვიდან, გარდა 2—3 კაცისა, მტრულადაა განწყობილი ყოფილი მთავრობისა და მისი პოლიტიკის წინაამდეგ.

**პარიზის** დასაყრდნობი არის პრაღაში არსებული აიოლლოს ჯგუფი, სულ რამოდენიმე კაცი. ორგანიზაცია დასტოვეს და სასტიკ ანტაგონისტურად განწყობილნი არიან, როგორც ადგილობრივ აიოლლოს, ისე პარიზის ორგანიზ.—შემდეგი პირები: ს. გოცაძე, გ. თაყაიშვილი, ს. თურქია, ჩ. ნინაშვილი და ათამდე უპარტიოები.

პოლონეთში მყოფი ქართული ემიგრაცია სცხოვრობს თავისთვის, თავისუფალია რა ყოფილი მთავრობის გავლენისაგან.

პრაღის ემიგრაციის მოზრდილი ნაწილი ((სულ 35—40 კაცამდეა); დღეს თუ არა ხვალ ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს და მოეშურება სამშობლოსაკენ. ამათში ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტებიცაა.

პარიზი ერთი ნაწილი კამათობს, „საქმიანობს“. „მოღვაწეობს“. უდიდესი ნაწილი კი ჩაბმულია 12—14 საათიანი მუშაობაში დიდ-ქალაქებში.

**სტამბოლში** „პოლიტიკის“ თავი ერთი-ორი კაცის გარდა არავის არა აქვს და ვგონებ მათაც მიატოვონ, თუ

იძულებული შეიქნენ 1 აგვ. ამა წლ. დასტოვონ სტამბოლი, როგორც ეს ქემალის მთავრობის მოწერილობაშია ნათქვამი ქართული ემიგრანტების მიმართ.

მაშ, რაზე ემყარებიან ჩვენი ყოფილი „ლიდერები“? იკითხავს მკითხველი.

ასეთი შეკითხვები დაიბადა ჩვენს შორის, როდესაც 1924 წლ. აჯანყება მოწყვა საქართველოში და გავეცანით რა სინამდვილეს, აღმოჩნდა შემდეგი, იმედები ყოფილა: **საკუთარ ილიუზიებზე, მე-2 ინტერნაციონალზე და... სურვილებზე..**

მაშ, ამას შეეწირა ამდენი ძალები?

იტყვის „ურწმუნო თაობა“, დიადი პარიზელების სიბრიყვემ ბევრი ხალხი იმსხვერპლა და იმსხვერპლებს თუ კი ვინმე აყვა.

ინგლისის მიერ ასევე იყო გაბრიყვებული სომხის ერი და მისი მესაფლავე დაშნაკელები, ამავე როლს თამაშობს ჩვენში ქართული ერის მესაფლავენი — **პარიზელები** და დროა გამოვფხიზლდეთ.

თუ დროზე არ იქნა **კერპთაყვანის მცემლობა** აღმოფხვრილი, როგორც ამას სჩადის ეტყობა **ზოგიერთები** ნ. ჟ. და ნ. რ. **გალმერთებით**, უთუოდ თავს დაიღუპავენ.

**ი. გაბუნია.**

# კოოპერაციის კვირეულისათვის

მთელი მსოფლიოს კოოპერაცია ყოველწლივ—ივლისის პირველ შაბათს აწყობს კოოპერატიუ დღესასწაულს.

საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის დადგენილებით ეს წესი 1923 წლიდან დამკვიდრდა.

კოოპერაციის საერთაშორისო დღის მიზანია—საერთაშორისო კოოპერატიუ სოლიდარობის გამომჟღავნება და გაღრმავება, მთელ მსოფლიოში და ცალკე ქვეყნებში კოოპერატიულ მოძრაობის მიღწევებისა და წარმატების აღნუსხვა და კოოპერატიულ მოძრაობაში მშრომელთა ახალი მასების მიზიდვა.

თუმცა ეს დღესასწაული საერთო ყველა ქვეყნების კოოპერაციისათვის, მაგრამ იგი სხვადასხვა შინაარსსა და ხასიათს ღებულობს ერთის მხრით საბჭოთა კავშირში და მეორეს მხრით კაპიტალისტურ ქვეყნებში.

კაპიტალისტურ ქვეყნების კოოპერაციის დღევანდელ ხელმძღვანელთა უმრავლესობისათვის ეს დღე მოკლებულია რევოლიუციონურ შინაარს, იგი მხოლოდ და მხოლოდ ახალ წევრებისა და თანხების მიზიდვის დღეა.

ცნობილია, რომ ამ ქვეყნების კოოპერაციის დღევანდელ მესვეურთ მეტად „მშვიდი“, „უწყინარი“ შეხედულება აქვთ კოოპერაციის მიზნებსა და საშუალებებზე. ეს მოძრაობა მათთვის არის მხოლოდ და მხოლოდ საშუალება მშრომელთა ქონებრივ და კულტურულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კოოპერატიულ მოძრაობის რევოლიუციონური დანიშნულება, შესდგება კოოპერაციაზე, როგორც კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებათაგანზე ამ ხელმძღვანელთათვის მიუღებელია, ისინი ასეთ მიდრეკილებებს გააფთრებით ებრძვიან. ამიტომ არის, რომ ისინი მთელის თავის ძალღონით ცდილობენ კოოპერაციის „ნეიტრალობის“ განმტკიცებას.

სულ სხვა გვარია ამავე ქვეყნების რევოლიუციონერ-კოოპერატორების და საბჭოთა კავშირის კოოპერაციის ხელმძღვანელთა კოოპერატიული მრწამსი. ეს უკანასკნელნი თავის ყოველ დღიურ კოოპერატიულ საქმიანობაში—ხოლო კოოპერაციის დღეს კი განსაკუთრებულის სიძლიერით—მიაქცევენ მშრომელთა ყურადღებას კოოპერატიულ მოძრაობის რევოლიუციონურ შინაარსსა და დანიშნულებაზე: იქ, სადაც ჯერ კიდევ ბატონობს კაპიტალიზმი, კოოპერაცია უნდა გახდეს მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობის ერთ-ერთ იარაღად პარტიასა და პროფკავშირებთან ერთად, ხოლო იქ, სადაც პოლიტიკური ძალა-უფლება უკვე დაპყრობილია პროლეტარიატის მიერ, კოოპერაცია იქცევა საზოგადოებრივ წყობილების სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის ერთ ძირითად საშუალებად.

კოოპერატიული მოძრაობის ასეთი სხვა და სხვა გვარი შეფასება განსაკუთრებულ ელფერს აძლევს კოოპერატიულ დღესასწაულს ჩვენში—საბჭოთა კავშირში.

აქ, საბჭოთა კავშირში, კოოპერაცია უკვე არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით ამჟღავნებს თავის შემოქმედებითი როლს სოციალისტურ მეურნეობის აღმშენებლობაში.

ამიტომ კოოპერაციის საერთაშორისო დღეს ჩვენმა კოოპერაციამ თავის მიღწევებით უნდა ნათელყოს და უჩვენოს კაპიტალიზმისა და მემამულეთა მძიმე უღელს ქვეშ მყოფ უცხო ქვეყნების მუშებსა და გლეხებს რევოლიუციონურ კოოპერაციის ამოცანები და მნიშვნელობა.

საბჭოთა კოოპერაციისათვის ამ დღესასწაულს წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა: ამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მას აძლევს ერთი მხრით ის, რომ იგი იმართება ოქტომბრის რევოლიუციის თითქმის ათის წლის თავზე, ხოლო მეორეს მხრით ეს დღესასწაული იმართება უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირისთვის შექმნილ განსაკუთრებულ საგარეო და საშინაო მდგომარეობაში.

ოქტომბრის რევოლიუციის ათის წლის თავზე მოხდება ჩვენი მიღწევების გენერალური შეფასება ყველა დარგებში. აქ კოოპერაციაც წარმოდგება თავის მიღწევა-ნაკლულოვანებებით. მიმდინარე წლის თავის დღესასწაულზე კი კოოპერაცია მოახდენს მის მიღწევათა ერთგვარ წინასწარ განხილვასა და შეფასებას. იგი გვიჩვენებს თუ რისი გაკეთება შესძლო კოოპერაციამ საბჭოთა წყობილების პირობებში: შემოიკრიბა თუ არა თავის გარშემო და რამდენად მუშათა და გლეხთა ფართო მასები, დააკავშირა თუ არა და რამდენად სოფლის და ქალაქის მეურნეობა, ჩააბა თუ არა აქტიურად სოციალისტურ აღმშენებლობაში კოოპერაციის მეშვეობით მშრომელთა ფართო მასები, დაამკვიდრა თუ არა და რამდენად სოციალისტური ელემენტები მოსახლეობის მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობას, ამ მხრივ ჩვენს კოოპერაციაში გაერთიანებულ მშრომელთა წინაშე სდგება მთელი რიგი მიმდინარე პოლიტიკური ამოცანებისა, რომელთა გარშემოც უნდა მოხდეს ამ დღეს ჩვენი კოოპერატიულ საზოგადოებრიობის ყურადღების გამახვილება. საბჭოთა კავშირის მიმართ პროვოკაციულ მოქმედებათა მთელი სერია, კონტრრევოლიუციონური მოქმედებები და დივერსიები მონარქისტულ ემიგრაციის საბჭოთა რუსეთში და ჯერ მხოლოდ სადირექტივო უსტარები საქართველოს მენშევიკურ ემიგრაციისა თავის მეტად შეთხელებულ სამწყსოსადმი—აი როგორ შინაურ და საგარეო პირობებში უხდება დღესასწაულის ჩატარება მიმდინარე წელს ჩვენს კოოპერაციას. პოლიტიკურ ამოცანებთან ერთად ეს კიდევ უფრო მეტის დაჟინებით მოითხოვს ამ დღეს კოოპერატიულ მოძრაობის მიღწევათა სისწორით აღნუსხვას და მორიგ ამოცანების შესაფერ სისრულით დასახვას, რათა ამით ნიადაგი გამოეცალოს იმ ჯგუფებსა და პირებს, რომელნიც სიყალბითა და ობიექტიურ მასალების გამრუდებით აქ თუ უცხოეთში ცდილობენ სახელი გაუტეხონ ჩვენ საქმიანობას.

გვაგონდება—„ბრძოლის“ ერთ-ერთ ნომერში ყოფ. მენშევიკურ მთავრობის ერთი ყოფილი მინისტრთაგანი და მასთან კოოპერატორი ქ. კანდელაკი სწერდა: „საზოგადოებრივ ცხოვრების არც ერთ დარგში, გარდა სწავლა-განათლებისა, საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო ისე ადვილად გამოეჩინა უნარი, როგორც კოოპერაციაში. ის ჩვენ მიერ ჩვენ საქმიანობისთვის ჩვენს პრესაში მიცემულ პირუთვნელ შეფასებიდან და ცალკე შემთხვევათა აღნუსხვიდან დაასკვნის, რომ ეს ასე არ

მოხდა. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მენშევიკურ კვლევა-ძიების იმ მეთოდთან, დომლის ძირითადი დებულებაც არის ბოლშევიკების მხოლოდ ცუდის დანახვა, მხოლოდ მათი გაწბილება, სახელის გატეხა. ეს რომ ასე არ იყოს, განა კანდელაკისათვის დაიფარებოდა ის, რაც არ დარჩა დაფარული ისეთ ბუმბერაზ კოოპერატორისთვის, როგორც არის საფრანგეთის კოოპერატორი შარლ ჟიდი, რომელმაც ფრიად დადებითი შეფასება უძღვნა საბჭოთა კოოპერაციას უკანასკნელის მდგომარეობის უშუალოდ გაცნობის შემდეგ? დღეს ბრმაც კი ხედავს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს პირობები ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა კოოპერაციის განვითარებისათვის. განსაკუთრებით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩქარის ტემპით იზრდება და ფართოვდება კოოპ. ორგანიზაც. ქსელი: თუ 1924 წლის ოქტომბრის 1-სთვის მთელ საბჭოთა კავშირში 60.000-მდე კოოპერატივი გვქონდა, დღეს ჩვენ უკვე 120.000-მდე კოოპერატიული ორგანიზაცია გვაქვს. ამავე დროს მრავლდება კოოპერაციაში გაერთიანებულ მუშათა და გლეხთა რიცხვი: წელს წევრთა რიცხვი ყველა სახის კოოპერაციაში მთელ საბჭოთა კავშირში 20 მილიონამდე აღწევს. ჩაისახა და მტკიცე სისტემებად ჩამოყალიბდა კოოპერატიულ მოძრაობის ახალი წინეთ უცნობი შტოები. კოოპერატიული მოძრაობა საკავშირო კოოპ. ცენტრებისა და საბჭოთა ხელისუფლების დიდი დახმარებით ფეხს იკიდებს ყოფ. რუსეთის ისეთ რაიონებშიაც კი, რომელნიც უკანასკნელ ხანებამდე, ასე ვთქვათ, კოოპერატიულ უდაბნოებს წარმოადგენდენ. დიდი ყურადღება ექცევა და განსაკუთრებულ დახმარებით სარგებლობს ეროვნულ რესპუბლიკათა და ეროვნულ უმცირესობათა კოოპერაცია.

კერძოდ საქართველოში წინადაც არსებულ საკმაოდ ძლიერ სამომხმარებლო კოოპერაციის გვერდით გაჩნდა და განმტკიცდა სას.-სამეურნეო, საკრედიტო, სარეწაო და საბინაო კოოპერაცია.

ასეთია საერთო სურათი ჩვენი კოოპერაციისა. ამას აღნიშნავს დღეს თავის კონკრეტ. მიღწევების ჩამოთვლით ჩვენი კოოპერატიული საზოგადოებრივობა მომხრეთა სასიქადულოდ და ორგულთა გულის გასაგმირავად.

**შალვა დუგლაძე.**

# თომა შრომელაძეს

**წერილი II**

მინდოდა მეპასუხნა შენ პირველ წერილში აღძრულ დანარჩენ საკითხებზედაც, მაგრამ გუშინ მივიღე შენი მეორე წერილი, რომელზეც ვიჩქარი გიპასუხო. არ შემიძლია არ შევნიშნო, რომ წერილი დაგიწერია აჩქარებით, დაუკვირებლად. თვით კილოც მოკლებულია ყოველივე სიდინჯეს, სჩანს აღშფოთებულ გუნებაზე ყოფილხარ, თორემ ასეთ წერილს არ მომწერდი.

რა მოხდა ასეთი, რამ აგაშფოთა, ეგ ჭკვიანი კაცი?

რომ ჩვენმა მკითხველებმაც ნათლად გაიგოს შენი ნორმალური სულიერი განწყობილების დამრღვევი მიზეზი, უკეთესია სავსებით მოვიყვანო შენი პატარა მონაწერის შინაარსი. მწერ:

— კაცო, რათ გადარიეთ ეს ხალხი, რატომ გაგვიხეთქეთ შიშით გული, რატომ ქმნით ხალხში პანიკას, აჯანყებას იწყებენო, რომ მოდევით ქვეყანას ხმები, სად არის აჯანყება? თქვენ მიერ გამოქვეყნებულ საბუთებიდან სრულიადაც არა სჩანს რომ მათ სურდეთ აჯანების მოწყობაო“.

როცა ამასვე ამბობს აქ ზოგიერთი გაცვეთილი „პოლიტიკოსი“, რომელსაც ისე აქვს გონება აბნეული, რომ თავის საკუთარ ცხვირის იქით არაფერს ხედავს ან არ უნდა დაინახოს, მე ეს არ მაკვირვებს და არც ვთვლი მათ პასუხის ღირსათ, მაგრამ როცა ამას ამბობ შენ, დაკვირვებული, არა ლეგალური მუშაობის დამახასიათებელი თვისებების კარგად მცოდნე, ძველი მუშაკი, მე ეს მაოცებს, მაგრამ მე მაინც ვეცდები არ წაგბაძო შენ და გიპასუხო აუჩქარებლათ, დინჯათ: ჯერ ერთი როგორ შეიძლებოდა გამოქვეყნება ყველა იმ საბუთების, რომელიც აღმოაჩნდა წარმოგზავნილ ემისარს ქარცივაძეს, ეს მეტად სახიფათო იქნებოდა, ვინაიდან შესაძლებელია ჩვენში თითო-ოროლა „აბესალომები“ ან მისი ამყოლ-ჩამყოლნი კიდევ მოიპოვებიან, შეიძლება ეს ხალხი გაბედავდა და ცდიდა დაპატიმრებულ „აბესალომ“ ქარცივაძის „დიდი მისიის“ სისრულეში მოყვანას, ეს ხომ ძალაუნებურათ იქნებოდა აჯანყების ხელის შეწყობა და მისი მეთაურების სურვილებისა და ზრახვების ოდნავ მაინც დაკმაყოფილება.

შენთვის კი, ის მაინც ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მწარე შედეგები მოყვებოდა ამ ბატონების „სურვილების ოდნავ დაკმაყოფილებასაც“ კი... გარდა ამისა, სადირექტივო წერილში, მაინც და მაინც, რა საჭირო იყო კონკრეტულად აღნიშვნა აჯანყების სრული გეგმის: სად, როდის, როგორ და სხვა ასეთ წვრილმანებს „ნიჭიერი“ ემისრები ხომ ზეპირადაც დაისწავლიდნენ. პირიქით, გაცილებით მეტი მასალები აღმოაჩნდა ემისარ ქარცივაძეს ვიდრე ეს საჭირო იყო, მაგრამ ეს საჭირო იყო ავტორიტეტისათვის, დასაჯერებლად, ვინაიდან „აბესალომ“ ქარცივაძე ჩვენთვის **ვინმეა**, ის არ არის ცნობილი; მას ამ დოკუმენტების გარეშე თავის ამხანაგები **„სარდაფის“** (თუ ასეთი კიდევ არსებობს) წევრებიც არ დაუჯერებდენ, ეს კარგად იცოდა ნოე რამიშვილმა და მიტომ აღჭურვა წარმოგზავნილი ემისარი ასეთი გრძელი ეპისტოლეთი. კიდევ: შენ დაგვიწყებია ასეთი არალეგალური მიწერ-მოწერის ხასიათი, აქ ხშირათ თვითეული სიტყვა, ნიშანი გულისხმობს მთელ რიგ წინადადებებს, აქ უბრალო პაროლიც დიდ როლს თამაშობს, მით უმეტეს მაშინ, როცა ამ საბუთებს თან ახლავს ცოცხალი სიტყვით განმარტება ემისარი, მაგრამ არც ნ. ჟორდანია და არც ნ. რამიშვილი არ იჩენენ ასეთ სიფრთხილეს, მათი „იდუმალების“ ფარდის ახსნა, არც ისე ძნელია, როგორც ეს შენ მოგჩვენებია. პირიქით ჩვენ „განსათავისუფლებლად“ დაწერილი რეცეპტები მოურიდებლად. დიდის რიხით და გაბედული კილოთი არის დაწერილი. აქ ნათლად სჩანს მათი მზაკვრული პოლიტიკა და გაბოროტებული გულის ზრახვები. მაგალითისათვის მოვიყვან ნოე რამიშვილის გრძელ, უფასოთ დაწერილ რეცეპტიდან შემდეგ ადგილს: **„უნდა მოვახდინოთ მოხალისეთა ჩუმი აღრიცხვა. ამისათვის სრულიად არ არის საჭირო მათი თავმოყრა და მათგან ნებართვის მიღება, არამედ ვარაუდათ, საიდუმლოთ აღწერა“**. ეს განსაკუთრებით საჭიროა თბილისში, სადაც უნდა ვიყოლიოთ საკმაო ძალა იმ შემთხვევისთვისო“. არც ნოე ჟორდანია იჩენს მეტს სიფრთხილეს, ისიც აშკარად სწერს: „საბჭოთა ხელისუფლებას უნდა აუჯანყდნენ მასში შემავალი ყველა ერები, მხედრობა და სხვა“. კაცო, ამ ამონაწერს კიდევ განმარტება უნდა, კიდევ საჭიროა დამტკიცება იმისა, რომ ეს ხალხი კიდევ ახალ სიურპრიზს უმზადებს ქართველ ერს? ნუ თუ საჭიროა შენთვის თოფ-ზარბაზნებისა და ყუმბარების ხილვა ამისრების ხელში, რომ დარწმუნდე, რომ ჩვენ არამკითხე „ჭირისუფლები“ კვლავ უმზადებენ ქართველ ერს ახალ ეროვნულ ტრაღედიას, ახალ საფლავებს...

„გადატრიალება“, რომ აუცილებელია ამაში იჭვი არ ეპარება ნოე რამიშვილს, მას „კაბინეტიც“ კი შეუდგენია, სადაც შიშობს არ შეეპაროს ს. დევდარიანი და მსგავსი მოღალატეები. მაგრამ საიდან უნდა დაიწყოს საქართველოს „გადატრიალება“ — მოსკოვიდან, რომელთან მჭიდროთ არის დაკავშირებული საქართველოს ბედი თუ ისევ საქართველოდან? მართალია, საქართველოს ემიგრაციას საბჭოთა კავშირის დასამხობათ დიდ იმედს ამყარებს „შინაგანი კრიზისზე“ და იმ ანტისაბჭოთა პოლიტიკაზე, რომელსაც დღეს აწარმოებს ინგლისის კონსერვატიული მთავრობა და სწორედ ამ გართულებულმა პოლი-

ტიკურმა მდგომარეობამ მოიყვანა ეს ხალხი „გამარჯვების“ გუნებაზეა, მაგრამ ვინ იცის მოსკოვის დამხობის მოლოდინში, როდის მიენიჭება ყოფილ მენშევიკურ მთავრობას ეს „გამარჯვება“, ვინ იცის იქნებ დიდხანს მოუხდეთ ცდა. მათი მოთმინების ფიალა კი უკვე აივსო, ამიტომ გადასწყვიტეს მათ საქართველოს „გადატრიალება“ დამოუკიდებლად, ისევ საქართველოში, და რა თქმა უნდა ნ. რამიშვილისა და ნ. ჟორდანიას წერილებიც დაწერილია საქართველოს მასშტაბით. აქ უნდა მოხდეს ჯერ ეს გადატრიალება, მაგრამ რა გზით, რა საშუალებით? ისე თავისთავად, სასწაულმომქმედობით? რა თქმა უნდა არა, მიუხედევათ, რომის პაპასთან დიდი კავშირისა, ნ. რამიშვილს მაინც არ სწამს მეოცე საუკუნეში სასწაულები. მას იმედი აქვს მხოლოდ და მხოლოდ აჯანყების, რასაც მისი ღრმა რწმენით უნდა მოყვეს მისთვის სანატრელი საქართველოს „გადატრიალება“, უფრო უკეთ რომ ვსთქვათ მისი დაღუპვა... ამ იზნით უნდოდა მას თავის **„მომხრეების საიდუმლოთ აღწერა“**, მაშ რისთვის?

**„ამ შემთხვევისთვის“** უნდოდა რამიშვილს **„მოხალისეთა ჩუმი აღნუსხვა“**. ან რა საჭიროა ამდენი ახსნა განმარტება ნ. ჟორდანიაც, ხომ პირდაპირ ამბობს „საბჭოთა ხელისუფლებას უნდა აუჯანყდნენ მასში შემავალი ყველა ერებიო“ და ამ ერთა შორის რა თქმა უნდა უპირველესად ყოვლისა ის გულისხმობს ქართველ ერს. ამის შემდეგ შენ კიდევ მეტყვი, რომ ჩვენ ემიგრაციას არა აქვს დიდი სურვილი ვკლავ ახალი ავანტიურისტულ ნაბიჯის გადადგმისა, რომ მას არა სურს გაიმეოროს 24 წლის აგვისტოს მსგავსი ამბები საქართველოში? არ ვიცი, ამას, არა თუ შენისთანა ჭკუა მახვილი კაცი, ბეციც კი მიხვდება.

თუ გინდა ამას დავანებოთ თავი; ჩვენ დარწმუნებული ვართ ღრმათ, რომ ქართველი ხალხი არავითარ შემთხვევაში აღარ წამოეგება ევროპიდან ემიგრაციის მიერ გადმოსროლილ ანკესზე, უკანასკნელმა მათმა ცდამ, მათ მიერ შეთხზულ აჯანყების მოსაწყობათ გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა მხოლოდ მწარე სიცილი გამოიწვია ჩვენ ხალხში და ეს სიცილი იყო ყოფილ მთავრობისათვის უკანასკნელი „სულთათანა აღსრულებულთა“, გამოქვეყნებული საბუთები კი მათ საფლავებზე მძიმე ლოდი...

ჩვენ ამაში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ წარმოვიდგინოთ ერთ წუთს ასეთივე საშინელი ამბავი: ვთქვათ „აბესალომ“ ემისარი არ დაეპატიმრებიათ, რა თქმა უნდა ის აჯანყების მოწყობას ვერ შესძლებდა, მაგრამ „მოხალისეთა ჩუმ აღნუსხვას“ ხომ მაინც შეუდგებოდა, ეს ხომ ადვილი საქმეა: რა ვიცი ეხლა მე ქუჩაზე რომ მივდივარ, ვინ რას ფიქრობს ჩემზე და ვის ავყევარ რაღაც „ჯანდაბა აღრიცხვაზე“, ამგვარათ ორი თვის განმავლობაში შეადგინა ემისარმა აბესალომ საკმაოდ გრძელი მოხალისეთა სია; და ბოლოს მაინც ეს სია „აბესალომთან“ ერთად ხელში ჩაუვარდა იმ ორგანოს, რომლის ფხიზელ თვალს „აბესალომ“ ქარცივაძის საქართველოს მიწა-წყალზე გადმოდგმული რამოდენიმე ნაბიჯებიც კი არ გამოპარვია, თუ ძია ხარ, მითხარი რა ბედი ეწევა ამ სიაში მყოფ „რაზმელებს“, მათ ცოლშვილს, მათ ოჯახებს ან ჩვენ ყველას? რა თქმა უნდა, დარბევა, აწიოკება, მსხვერპლი, სისხლი... აი სახამდე მივყავდით ჩვენი ემიგრაციის „მოღვაწეობას“.

ამაზე შორს კიდევ წავა პროვოკაცია?

ჯერ ეხლაც კი, როცა თავის დროზე იქნა გაწყვეტილი ეს პროვოკაციისა და ავანტიურის ძაფები, როცა ემისარმა ქარცივაძემ ვერ მოასწრო თავის „მომხრეების“ სიის შედგენა, ერთგვარი არევ-დარევა მაინც შეიტანა ჩვენ მშვიდობიან ცხოვრებაში ემიგრაციის ამ უდღეურმა პროვოკაციულმა ნაბიჯმა, ალბათ მთავრობა იძულებული გახდა მოეხდინა ერთგვარი დაზვერვა თავის მტერმოყვარეთა, მაგრამ მოყვარენი იმდენად მეტი აღმოჩნდნენ ალბად მტრებზე, რომ მას არ დაუნახავს საჭიროთ შექმნილ მდგომარეობის გამო რეპრესიული ზომების მიღება.

ასე, ჩემო თომა, ეხლა მაინც ცხადი უნდა იყოს შენთვის, რომ რამიშვილის ემისარს და იმ საბუთებს, რომელიც მას აღმოაჩნდა, უთუოდ აჯანყება ჰქონდა მიზნათ. ამის შემდეგ რატომ გიკვირს ჩემი აღშფოთება, მე დარწმუნებული ვარ აღშფოთებული ხარ შენ და ყველა საქართველოს კეთილშობილი მოქალაქენი, მთელი ერი, რომლისთვისაც უკანასკნელი ავანტიურისტულ ნაბიჯის შემდეგ განსაკუთრებით, სამუდამოთ მოკვდა, დაიმარხა საზღვარ-გარეთ გადახიზნული ყოფილი ჩვენი მთავრობა.

დანარჩენებზე შემდეგ. **გ. სოფლიშვილი.**

# ყოფილ მენშევიკ-ქალთა თათბირი

ჟურნალ „ახალი გზა“-სთან არსებულ ყოფილ მენშევიკ ქალთა სექციამ მოიწვია 21 ივნისს ყოფილ მენშევიკ ქალთა თათბირი, რომელსაც დაესწრო 30 ქალი.

თათბირზე მოკლე მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე და ქართველი ემიგრაციის „საქმიანობაზე“ ამხ. ალ. ხელაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა იმპერიალისტური ქვეყნების დარაზმვა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, საბჭოთა მშრომელი ხალხის ომში ჩათრევის მიზნით და იმედი გამოსთქვა , რომ მსოფლიო პროლეტარიატის დახმარებით საბჭოთა კავშირი შესძლებს მშვიდობიანი პოლიტიკა აწარმოოს და ქვეყანას ომის საშიშროება თავიდან აშოროს.

ქართველი ემიგრაციის „საქმიანობის“ შესახებ მომხსენებელმა აღნიშნა უკანასკნელი ამბები, ჟორდანია-რამიშვილის მიერ გამოგზავნილი წერილები, რომელც გამოქვეყნდა გაზეთებში და მოუწოდა თათბირზე დამსწრეთ ამ საშინელი ავანტიურის წინააღმდეგ მუშაობისკენ.

მოკლე საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა თათბირზე საზღვარგარეთიდან ეხლახან დაბრუნებული ამხ. ი. გაბუნია, მან აღნიშნა ემიგრაციაში არსებული ერთსულოვნების დარღვევა და თქვა, რომ გადახვეწილი ქართველობა თანდათან რწმუნდება, რომ საქართველოში სწარმოებს უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობა,, ეს მუშაობა იზიდავს მათ და საქართველოში დაბრუნების მსურველთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება, მხოლოდ ამისთვის ხელსაყრელ დროს ეძებენ. ემიგრაციაში არ იზიარებენ აჯანყების გზას, არის ოპოზიცია ირ. წერეთლის, გ. ერაძის და რუბენ ყიფიანის მეთაურობით. უმრავლესობა საზღვარგარეთის ემიგრაციისა წინააღმდეგია ჟორდანია-რამიშვილის ავანტიურისტულ პოლიტკისა. ამის გარშემო არის განხეთქილება და მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ემიგრაციის უდიდესმა ნაწილმა დასტოვოს ემიგრაცია და დაბრუნდეს თავის სამშობლოში, ამოუდგეს გვერდში მშრომელთა კლასს და აკეთოს ის საქმე, რასაც ხელისუფლება აკეთებს დღეს საქართველოში.

თათბირმა მოხსენებების შემდეგ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

მოვისმინეთ რა მოხსენებები ამხ. ალ. ხელაძისა და ამხ. ი. გაბუნიასი, ყოფილ მენშევიკ და უპარტიო ქალთა თათბირი სურვილს გამოსთქვამს ჩაება საერთო მუშაობაში და ყოველი მხრით ხელი შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც აწარმოებს უდიდესს მუშაობას ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ამავე დროს, თათბირი აღნიშნავს, რომ თითეული ნაბიჯი ხელისუფლების წინააღმდეგ გადადგმული არის მშრომელი ხალხის დამღუპველი, რისთვისაც გმობს საზღვარგარეთ გადახვეწილ ემიგრაციის ნაწილის ცდას, მოაწყონ ჩვენში აგვისტოს დღეები. თათბირი მოუწოდებს მშრომელ ქალთ მშვიდობიან მუშაობისაკენ და ამავე დროს ზიზღს გამოსთქვამს იმპერიალისტურ შავი ზრახვების მიმართ, ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი ახალს, სისხლის-მღვრელ ომებში..

შემდეგ თათბირმა მოისმინა მცირე მოხსენებები რაიონებიდან: ნაძალადევიდან, ავლაბრიდან და სხვა, სა-

დაც ამხ. ქალები აღნიშნავდენ, მას, რომ მათ ჰქონდათ სურვილი დიდი ხნით ადრე, ვიდრე დღეს,—შეერთებოდენ მამაცე მუშებს, რომლებმაც თავი მოიყარეს „ახალი გზის“ გარშემო და რომლებიც ეწევიან ხელისუფლებასთან ერთად მშრომელთა რესპუბლიკების შენებას.

თათბირზე დამსწრე ქალები გულწრფელად აცხადებდენ, რომ დიდი ხანია დასტოვეს მენშევიკური გზა, და მზად არიან თავისი წვლილი შეიტანონ იმ დიად მუშაობაში, რომელსაც აწარმოებს ხელისუფლება. თათბირმა გამოსთქვა სურვილი მოკლე ხანში მოწვეულ იქნას ფართო საქალაქო კონფერენცია ყოფილ მენშევიკ და უპარტიო ქალებისა. ამ მიზნით, მუშაობის სურვილი გამოსთქვეს ამხ. ა. ახვერდაშვილმა, ტ. მჭედლიშვილმა, ო. დოლიძემ, ქალთა არტელის წარმომადგენელმა თებრონე გიგაურმა და სხვებმა.

თათბირის მონაწილე..

# ზაჰესის გახსნა

## (შთაბეჭდილება)

თბილისი საზეიმოთ 25 ივნისიდან მოირთო. ამ დღიდან დაიწყო სადღესასწაულო აღმაფრენა. ყველას უხარია, ყველას ღიმილი უთამაშებს ტუჩებზე, ყველას სურს ხვალინდელი დღის ხილვა, ხვალინდელი ზეიმი, ხვალინდელი სანახაობით დატკბობა. გათენდა 26 ივნისი, ეს ისტორიული დღე, თავდები და სიმბოლო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად აღორძინებისა, წინმსვლელობისა და გამარჯვებისა... ზაფხულის ცას პირი შეუკრავს, მოღრუბლულია, მაგრამ ის მაინც დიდხანს ვერ უძლებს ზაფხულის მზის სხივების სიძლიერეს; დილაა, მაგრამ მაინც ცხელა. ყველა ვაგზლისაკენ მიეშურება, სადგურის რაიონი სავსეა ექსკურსანტებით... ყველა ერთმანეთს ეჯიბრება, ცდილობს რაც შეიძლება მალე შერგოს თავი მატარებელში, მაგრამ მატარებელი ვერ აკმაყოფილებს ერთბაშად ყველას სურვილს, მოთმინების საზღვარი კი ივსება, ასეთ მოლოდინის დროს ერთი საათიც წელიწადათ ეჩვენება კაცს, შემდეგი მატარებელი კი მხოლოდ სამი საათის შემდეგ იქნება.

აქეთ ავტომობილით, წავიდეთ წამოიძახა ერთმა და ყველამ მისკენ მივაშურეთ, მაგრამ აღარც აქ არის ტევა, ბევრი დარჩა გულდაწყვეტილი. ბევრმა დაგვიწყო შურით ყურება, როცა ჩვენ ავტო-მანქანამ გაგვაქროლა ავჭალისაკენ. ავჭალაში მიმავალ გზა-ტკეცილზე მტვრის კორიანტელი სდგას, აქ თავი მოუყრია ყველა სატრანსპორტო საშუალებას დაწყებული დროგ-ლინეიკით გათავებული ჩვენ ავტომობილადე. ყველა იქ მიჰქრის, ყველა ერთი ადგილისკენ მიიჩქარის. გზას ამშვენებს და ამხიარულებს ქართულ ცხენოსანთა ლეგიონი, რომელსაც წინ მიუძღვის მისი მეთაური ძველი, გამოცდილი მხედარი გ. მაყაშვილი. თვითეული ჯარისკაცის სახეზე აღბეჭდილია სიმხიარულე და გამარჯვება... მიიმღერიან „რაშოვარელას“ და ამაყათ გადმოიყურებიან კარგად მოვლილ ცხენებიდან. მიუახლოვდით „თეთრ დუქანს“, ზარის რეკვით გვეპატიჟება თავის სამიკიტნოსკენ ცნობილი „ზახარ-ზახარიჩი“, ეტყობა მასაც დიდი იმედი აქვს დღევანდელი დღის, მაგრამ ამაოდ,—მის სამიკიტნოში ერთი კაციც არ ყოფილა.

მიუახლოვდით ზედა-ზენს, აქიდან იწყება ზემო-ავჭალის სანახაობა, ამ ხუთი წლის წინეთ უნაყოფო ავჭალის ველი დღეს მოგაგონებთ პატარა ქალაქს, რომელიც მარტო თვითონ კი არ ცხოვრობს, სხვასაც ახარებს და აძლევს ცხოვრების იმპულსს.

— კაცო, ასე მალე როგორ ააშენეს ამოდენა სახლები, ამბობს გარკვევით ერთი თანამგზავრი.

— აკი იძახოდენ ზაჰესიდან არაფერი გამოვა, ტყვილა დაიღუპა ამოდენა ფულები და შრომა, უმატებს მეორე.

— მაგი კი არა, კაცო, ჩვენ უბანში, ამ ზამთარში გაავრცელეს ხმები ინჟენერ ჰიჰინაძემ თავი მოიკლა, რადგანაც დარწმუნდა ზაჰესის საქმე მეტად ცუდათ მიდიოდაო.

— სულ რამდენიმე დღეა, რაც მითხრეს ზაჰესი აფეთქესო.

ძალაუნებურად უგდებ კაცი ყურს ამ ნაჭორალს და ფიქრობ: როდის მოელება ბოლო ჩვენში ამ დაუსრულებელ ჭორებს, ვინ თხზავს მას, ვისთვის ან რისთვის? როდის დადუმდებიან ეს ბოროტი ენები... მაგრამ აღსრულდა, უკვე მოკვდენ, დასამარდენ ზაჰესის მტერ-ოროგულნი, აი ეს ვეებერთელა რკინის ბოძები მძიმე ჯვარია მათ სასაფლაოზე აღმართული.

„სტოპ მაშინა“, მივაძახეთ ერთ წარწერას, ჩვენც ჩამოვედით ავტომობილიდან და შევუდექით ნანატრ ადგილის დათვალიერებას, მაგრამ იბნევი კაცი, აქეთ-იქით აწყდები, არ იცი რომელი ნახო ჯერ: პატარძალივით მორთული საგენერატორო სადგური, ან თუ მისი ოთხი ტურბინა, სადაც არის უმთავრესად დამარხული ზაჰესის საიდუმლოებანი; როგორ გულით გინდა გახსნა ამ ჯადოსნური საიდუმლოების კვანძები. ბუნების ძალებს, რომ იმონებს, მაგრამ ამისათვის საჭიროა ახსნა, დღეს კი ახსნა-განმარტებისათვის ვის სცალია, ჩვენც იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მისი გარეგანი, მომხიბლავი სანახაობით, რომელიც ერთი მეორეს სცვლის. ამ სანახაობათა შორის საცოდავია მტკვრის ის ნაწილი მცხეთის ახლოს უსიცოცხლო ტბათ რომ გადაქცეულა; საცოდავი „მობუტბუტე“ ბებერი მტკვარი! სწორედ ამ ადგილას იყო ის ძლიერი გიჟმაჟ არაგვს რომ გულში იხუტებდა... მაშინ ის მას სჯობნიდა. არაფრათ აგდებდა, დღეს კი გამოჩნდა მასზე ძლიერი ძალა და ის დაიმორჩილა... ასეთია „კანონი“ ბუნების: ძლიერი ჩაგრავს სუსტს, ისე როგორც ეკონომიკაში „მსხვილი კაპიტალი ჰყლაპავს წვრილ კაპიტალს“ მაგრამ მტკვარი არ არის სატირალი, ის არ მომკვდარა—„მხოლოდ სძინავს“ ტურბინების გამძლე ბორბლებში, აქედან იძლევა ის ახალ სიცოცხლეს, ენერგიას 18 ათასი ცხენის ძალით შემდეგ ეს ენერგია გაორკეცდება და შექმნის ისეთ ძლიერ „კაპიტალს“, რომელიც დაედება ფუძეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინებას..

ოთხი საათია, მეტად ცხელა, არსად არის ახლოთ თავშესაფარი, ჯერ საზეიმო სხდომა არ დაწყებულა, მაგრამ ხალხი მაინც გაბრუებულია სანახაობით, გარინდული სდგას და ელის... ყრიამული არ არის, სიჩუმეა... ზოგი მნახველი ჯვარის მონასტერსაც მიუზიდავს, ისიც ძლიერი იყო ერთ დროს, მასაც აქვს თავისი ეპოქის გამამართლებელი საბუთები, მაგრამ დღეს ის დამარცხებულია, ზაჰესზე უფრო მაღლობიდან გადმოიყურება, მაგრამ ზაჰესის მწვერვალამდე მაინც ვერ ატანს... უძლეველია ისტორიის კანონები...

— მოდიან, მოდიან გაისმის ხმა, ყველამ ყურები დაცქვიტა, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს, მოდის მთავრობა მოხუც კალინინთან ერთად. მაღალი კვარცხლბეკი, რომელზედაც სდგას სუდარში გახვეული ლენინის უზარმაზარი ძეგლი, მორთულია პეპელასავით. კვარცხლბეკი რამოდენიმე საფეხურიანია, აქ უკვე ნამდვილი თეატრალური სანახაობაა: სიმებიანი ორკესტრი, მომღერალთა გუნდი, მაცეკვავები, დოლი, დაფა-ზურნა და ნაღარა... ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები (აჭარლები, სვანები, მთიულები და სხვა)... მთავრობისა და პარტიის წარმომადგენელნი გამარჯვებულის თვალით გადმოჰყურებენ ტრიბუნიდან, აქვთ საბუთი იამაყონ, მათის ენერგიით და ხელმძღვანელობით დაგვირგვინდა ეს დიდი, საშვილიშვილო საქმე...

საერთო სიჩუმე, სიყვარულითა და სიხარულით აღსავსე იდუმილება.

— ამხანაგებო, გაისმის ლ. სუხიშვილის მქუხარე ხმა, დღეს თბილისის პროლეტარიატმა დაგვირგვინა დი-

და საქმე, გაუმარჯოს მუშათა კლასის ძლიერ ნებისყოფას... ჩვენ ამ საქმით ნაწილობრივ ავასრულეთ ამ ჩვენი მასწავლებლის დიდი ლენინის ანდერძი.

ამ დროს ეხსნება ლენინის ძეგლს სუდარა და ჩვენ წინ აღმართა უზარმაზარი ბრინჯაოს ლენინი... რკინისა და ფოლადისებური ნებისყოფის ლენინი, მსოფლიო რევოლიუციონური ცეცხლით აღმგზნებელი, დღეს მისი სახეობა ბრინჯაოში ჩამოქანდაკებულა უსულოდ, უკვირდები მის ძეგლს, გაგონდება ცოცხალი, ნამდვილი ლენინი და შენთვის ამბობ პოეტის სიტყვებს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო ვერც კლდოვანი
მისგან ყოველი გასწორდეს
სუსტი და ძალ-გულოვანი“

მაგრამ არა, სიკვდილმა ლენინი ვერ მოჰკლა, ის მუდამ ცოცხლად იქნება მსოფლიო პროლეტარიატის სულსა და გულში, ამის თავდებია ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგური, მისი საზეიმო გახსნის დატა—26 ივნისი, რომელსაც ოქროს ასოებით ჩასწერავს ჩვენი მემატიანე საქართველოს ისტორიაში... ამის „უტყვი“ მოწმეა ჩვენი ბებერი მტკვარი, რომლის სიღრმეში ღრმად იდგება ლენინის ძეგლი...

ჯერ ქართულად და შემდეგ თავის ჩიქორთული რუსულით გაგვაცნო ლ. სუხიშვილმა ზაჰესის ისტორია. შემდეგ ტრიბუნაზე გამოჩნდება საკავშირო „სტაროსტა“ კალინინი, რომელსაც დიდი აღფრთოვანებით და ოვაციებით ვეგებებით. ის ამბობს მხურვალე მისასალმებელ სიტყვას, რომლის დასასრულს აცხადებს: „ზაჰესის გახსნა—არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი სოციალიზმის მშენებლობის გზაზე“.

კალინინის მისალმების შემდეგ გარინდული ზეიმი შეირხა, ატყდა სამხიარულო ჩოჩქოლი. თურმე რა მოხდა: უცბად შეკრეს მტვარი რკინა-ბეტონის სალტებით, მტკვარის ძალამ ერთ ადგილას მოიყარა თავი და უკანასკნელად ერთხელ კიდევ შეებრძოლა თავის მტერს რკინას და ქვას, მაგრამ ამაოთ. ამავე დროს დაიწრიტა ერთი ნაწილი მტკვრის და ამოტივტივდენ უწყლოდ დარჩენილი უზარმაზარი თევზები.

საცოდავი თევზები, აი ვინ გააუბედურა მხოლოდ ზაჰესმა, რომლის რკინის სალტეებს იქით ველარ ნავარდობენ ეს უწყინარი არსებანი... სულ ორი ელემენტია ზაჰესის კეთილად დაგვირგვინებით უკმაყოფილო: პირველია ეს თევზები, რომლებსაც საპროტესტოთ ზაჰესის წინააღმდეგ ბევრი აქვს სათქმელი, „მაგრამ პირი წყლით აქვთ სავსე“, მეორე საბჭოთა საქართველოს მტრები, რომლებსაც სათქმელი არაფერი აქვთ, მაგრამ მაინც ახრიალებენ მწარე ენებს... მოვიდნენ ნახონ ზემო ავჭალის ჰიდრო-ელსადგური და შემდეგ გაბედონ თუ კაი ბიჭებია „სადირექტივო“ წერილების წერა, მაგრამ „მგლის თავზე სახარების კითხვა“ რა შედეგს მოგვცემს...

შემდეგ მისალმებით გამოვიდა უკრაინის წარმომადგენელი, რომელიც ისე ლაპარაკობდა, კაცს ეგონებოდა ცეცხლს ყრის პირიდანო... შემდეგ მიულოცეს ჩვენი მთავრობის წევრებმა და სხვადასხვა კუთხის დელეგატებმა, განსაკუთრებით თვალთწარმტაცი იყო ზაჰესი ღამით. ზეიმმა გასტანა ღამის პირველ საათამდე.

**დამსწრე.**

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## ვისთან არის რევოლიუციონური ახალგაზრდობა?

მენშევიკური პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსა და ყოფილი მთავრობის ავანტიურისტულმა მოქმედებამ აურაცხელი ზიანი მიაყენა ქართველ ერს მთლიანად და განსაკუთრებით ერის მოზარდ-მომავალ თაობას—ახალგაზრდობას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამრტო აგვისტოს ტრაღედია რადა ღირს?

მძიმე იყო აგვისტო ქართველი ხალხისათვის.

მაგრამ, თუ ერთის მხრით აგვისტოს მოგონება და მასთან დაკავშირებული განცდები ასე ძნელი და გულის შემკუმშავი არის ყოველი ქართველისათვის, მეორეს მხრივ იგივე აგვისტო არის მიზეზი ჩვენს ხალხში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მომხდარ გარდატეხისა. ჩვენდა სამწუხაროდ აგვისტო დარჩა საჭირო რათა ჩვენი ხალხი დამდგარიყო გამოფხიზლების გზაზე და თავი დაეღწია პოლიტიკურ ბურუსიდან.

1924 წლის 7-8 ოქტომბერი ისტორიული დღეებია ქართველი ხალხის ცხოვრებაში და ღირსეულ ადგილასაც იქნება აღბეჭდილი ჩვენი ისტორიის ფურცლებზე. 7-ე ოქტომბერს ითქვა პირველი, ახალი სიტყვა რევოლიუციის ქარ-ცეცხლში გამობრძმედილ ნაძალადევის მუშების მიერ, რომელსაც მთელი საქართველო გამოეხმაურა.

რაში გამოიხატა ეს ახალი სიტყვა, რაში მდგომარეობდა ამ სიტყვის აზრი? აღიარებულ იქნა დამღუპველად იმპერიალისტურ ევროპის ორიენტაცია და მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორიენტაცია და საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმა.

ამგვარად აღიარებულ იქნა ახალი გზა, გარკვეული, რეალური და ნათელით მოფენილი. ნაძალადევის მუშათა მიერ არჩეულ კომისიას დაევალა ხალხში ენერგიული მუშაობის წარმოება და მისი ახალ გზაზე დარაზმვა.

„მუშათა კომისიამ“ პირნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. მან ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის დახმარებით შესძლო საქართველოში პოლიტიკური მშვიდობიანობის ჩამოგდება.

მოისპო ურთიერთშორის უნდობლობა, გამრთელდა მშრომელთა ოჯახი. ქართველი მშრომელი ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა, და თავის მუშაობას გეზათ საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობა და კულტურულ - ეკონომიურ აღმშენებლობაში ენერგიული მონაწილეობა აღიარა.

ქართველი ახალგაზრდობაც ჩაება ამ საერთო ფერხულში, ისიც დაუბრუნდა ნორმალურ ცხოვრებას, დაუბრუნდა სასწავლებლის კედლებს, მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით დაეწაფა მეცნიერებას და ერთგული მონაწილე შეიქნა აღმშენებლობითი მუშაობისა.

მოიგო თუ წააგო ქართველმა ხალხმა ახალი არჩევანით, ახალი გზის აღიარებით?

ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევიან საბჭოთა საქართველოს მიღწევები კულტურულ-ეკონომიურ სფეროში. არა ერთი და ორი მეტყველი ციფრები ყოფილა გამოქვეყნებული, რომლებიც კატეგორიულად ამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის განვითარების აღმავალი ხაზებით სვლას და ამიტომ აქ არ გვინდა ამაზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. მხოლოდ ერთს კი ვიტყვით, რომ 2 ნახ. წლის პოლიტიკურმა მშვიდობიანობამ და გულწრფელმა თანამშრომლობამ ისეთი პირობები შექმნა საქართველოში, რომ ყოველი პატიოსანი ქართველი, სოციალისტურად მოაზროვნეა ის თუ უბრალო დემოკრატი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა, დღეს უთუოდ იმას ნანობს, რომ 3—4 წლის განმავლობაში უაზრო ბრძოლაში დახარჯა ენერგია.

და აი, სწორედ ასეთ დროს, როდესაც ქართველი ხალხის მთელი გულისყური სოციალისტურ სამშობლოს განვითარებისა და განმტკიცებისაკენ არის მიპყრობილი მას თავს დასჩხავიან, კვლავ ურღვევენ მშვიდობიანობას, ცდილობენ მისი ნორმალური ცხოვრების აფორიაქებას.

და მერმედ არ იკითხავთ ვინ?

ისევ ისინი, აგვისტოს ტრაღედიის ავტორები, ქართული ემიგრაცია და მისი ემისრები. მათ, როგორც სჩანს, არ მიაჩნიათ საკმაოდ ქართველი ხალხის მიერ უაზრო ბრძოლაში დაღვრილი სისხლი და კვლავ იარაღისაკენ მოგვიწოდებენ საბჭოთა კავშირის საშინაო თუ საგარეო გართულების ჟამს.

იმ დროს, როდესაც რევოლიუციისა და ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები კატეგორიულობით გვიკარნახებენ კიდევ უფრო შევამჭიდროოთ რიგები და დავირაზმოთ საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე, საზღვარ-გარეთელი ემიგრაცია და ყოფილი მთავრობა ევროპის რეაქციონურ მთავრობებთან და ევროპაში გახიზნულ რუს შავრაზმელებთან ჰკრავენ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბლოკს, კონტერბერიის ეპისკოპოზისა და რომის პაპისაგან ღებულობენ ლოცვა - კურთხევას და ამ საქმეში მონაწილეობისაკენ მოუწოდებენ ქართველ ხალხს.

და აი, საკვირველებაა, თურმე ყველაზე უფრო მეტ იმედს პირწავარდნილი ავანტიურისტები ქართველ ახალგაზრდობაზე ამყარებენ.

კი მაგრამ რა საბუთით?

მართალია ყველა ქვეყნის რევოლიუციონურ - ნაციონალური მოძრაობის დროს ახალგაზრდობა მებრძოლთა მოწინავე რიგებში იყო ყოველთვის. კერძოდ ქართველი ახალგაზრდობა, მისი საუკეთესო ნაწილი დღეს ჩაბმულია უდიდეს რევოლიუციონურ ბრძოლაში. მისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა არის და მუდამ იქნება წმიდათა-წმინდა, მაგრამ განა ეს რაიმეს ეუბნება ემიგრანტ-ავანტიურისტებს?

რასაკვირველია არა.

ქართველმა ახალგაზრდობამ მშვენივრად შეაფასა და სჯერა, რომ ვინც ეხლანდელ ევროპის ოფიციალურ წრეებში და რუსეთის თეთრგვარდიელებში ეძებს მოკავშირეს, იმას არ სწამს საქართველოს დამოუკიდებლობა, მას ამ დამოუკიდებლობისათვის ჯვარი დაუსვამს და ფაშისტურ-იმპერიალისტურ სახელმწიფოს პროტექტორატს ეძებს.

ცხადია ახალგაზრდობას სოციალიზმისა და ერის ასეთ დამცველებთან არავითარი საერთო არ შეიძლება ჰქონდეს.

ქართველ ახალგაზრდობას სწამს, რომ არც ბურჟუაზიულ - იმპერიალისტური ევროპა და არც მილიუკოვ-კერენსკი-აბრამოვიჩის ყალბი და საეჭვო დემოკრატია ქართველი ხალხის საიმედო მოკავშირე ვერ იქნება.

ქართველი ხალხის ერთად-ერთი გულწრფელი და საიმედო მოკავშირე მხოლოდ საბჭოთა რუსეთი და მისი მუშათა კლასია.

საბჭოთა საკავშირო კონსტიტუციის მიერ არის აღიარებული საქართველოს სუვერენობა და ამ სუვერენობის განხორციელებისათვის ხელისშემწყობ პირობებს მხოლოდ კომუნისტურ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა ქმნის. ამის უარყოფა დღეს არავის არ ძალუძს. დღეს ყველა ხედავს, რომ საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობა კომუნისტურ პარტიის პოლიტიკით იჭედება.

ამიტომ ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა თავისთავად მიხვდენ ემიგრაციის ბელადები, თუ ვისთან უნდა იყოს და ვისთან არის ქართველი რევოლიუციონური ახალგაზრდობა.

და თუ დღემდე მაინც ვერ გაიგეს ან არ უნდათ გაიგონ ეს,ერთხელ კიდევ მაინც მოვაგონებთ:

რომ რევოლიუციონური ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც ყოფ. ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებულია თავისი სინდისით და პასუხისმგებლობის შეგნებით და ადგა ახალ გზას და არასოდეს არ უღალატებს მას. ამიტომ ტყუილად ნუ იოცნებებენ ავანტიურისტული პოლიტიკის იდეოლოგები, რომ მათ რევოლიუციონური ახალგაზრდობა რაიმე სამსახურს გაუწევს.

პირიქით, როდესაც ემიგრაცია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ავანტიურის მოწყობას აპირებს, მან უნდა იცოდეს, რომ ქართველი ახალგაზრდობა საბჭოთა ხელისუფლების დამცველთა პირველ რიგებში იქნება.

ამას უკარნახებს მას ქართველი ერისა და სოციალიზმის ინტერესები.

ა. ჩაჩუა.

## ლანჩხუთის რაიონის ყოფ. ახ. მარქსისტთა განცხადება

ჩვენ, ლანჩხუთის რაიონის ახ. მარქსისტები, რომელიც უკანასკნელ დრომდე ვიმყოფებით მეორე ინტერნაციონალისა და მენშევიკურ პარტიის გავლენის ქვეშ, დღეს აშკარათ და ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ვტოვებთ ერთხელ და სამუდამოთ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის ლაქიების მენშევიკების ბანაკს და ვდგებით საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. მას შემდეგ, რაც საქართველო ფაშისტურ მენშევიკური ემიგრაცია კვლავ ახალ ავანტიურის გათამაშებას აპირებს საქართველოში, ყოველგვარი [illegible] და პოლიტიკის გარეშე დგომა მიუტოვებელ ცოდვად მიგვაჩნია. ფიცსა ვსდებთ ამიერიდან ჩვენ ვიქნებით ერთგული დარაჯები სოციალიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების.

ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია განუცხადოთ ყველა იმათ, ვისაც დღემდის კიდევ შერჩენიათ სოციალიზმის თანაგრძნობა მიჰბაძონ ჩვენს მაგალითს და მივიდნენ კომუნისტურ პარტიასთან, რადგან სოციალიზმის საქმის კეთება სხვა გზით შეუძლებელია.

**ძირს მოღალატეობის ხროვა, მეორე ინტერნაციონალის ბანაკიდან!**

**გაუმარჯოს მესამე კომინტერნს!**

**გაუმარჯოს სოციალიზმს!**

**გრიშა მახარაძე. დიმიტრი ქეიშვილი, კავსაძე მოსე, ებრალიძე ნინა; საზიშვილი ტიტე; წულაძე ნინა; მურვანიძე ილია. კვაჭაძე აფრასიონ; ხოფერია ნიკიტა; იმნაძე თამარა; ხუხუნაშვილი გრიგორი, ასათიანი ივანე, ჯორბენაძე ალექსანდრე; მურვანიძე აკაკი; ჩიკაშუა ვარდენ; გოგუა ამბროსი, მგელაძე დათიკო; კეტაიშვილი ალექსი; ჩხარტიშვილი ნიკოლოზ; ხუხუნაშვილი ნინა; ცინცაძე კობა; ცინცაძე მიშა; კეტაიშვილი დომენტი.**

## მარკოზ ილიას ძე მავნელიძის განცადება.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთი „ახალი გზის“ საშუალებით განვაცხადო შემდეგი: 1918 წლიდან მე ვირიცხებოდი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდგან შევწყვიტე ყოველგვარი კავშირი ზემოხსენებულ ორგანიზაციებთან და არავითარ პოლიტიკურ პარტიას არ ვეკუთნი.

დღეს შეგნებულად დავდექი საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და მოუწოდებ ყველა ახალგაზრდა მარქსისტებს გვერდში ამოუდგნენ კომპარტიას, რომელიც მთელ თავის ძალ-ღონეს მშრომელთა კეთილდღეობის და მდგომარეობის განმტკიცებას ანდომებს.

ყოფილი ახალგაზრდა მარქ. **მ. ი. მანველიძე.**

**სარედაქციო კოლეგია.**

ილმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.